პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ, გ. წ. ა.
და მაგრ. დეპ. საბ.
ცაკის
ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენ. ქ. № 4, მე-3 სართული
მთავარი კანტორა: თბილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 სართული ტელეფ. № 5—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონების ნომრები: რედაქტორის—14—76, მდივნის—19.

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 100.000 მ. ქ. ბ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 250 მ. 1922 წ. ნიშნებით.
განცხადება—10 ათ. მ. წონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 300 ათ. მ.
ტელეფონის № კანტორისა № 5—48

დღიური

— ინგლისში დემონსტრაციები ომის წინააღმდეგ.

— ამხ. ლენინი უკვე შეუდგა თავის მოვალეობის აღსრულებას.

№ 228 ხუთშაბათი, 5 ოქტომბერი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5,000 მან. № 228

საქართველოს კომპარტიის ხელახალ რეგისტრაციაში გამტარებელი, შემმოწმებელი და გამწმენდი კომისია

აცხადებს, რომ გაწმენდა დაიწყება ამა წლის 5 ოქტომბერს ყველა სარაიონო და სამაზრო კომისიებს წინადადება ეძლევათ დაუყოვნებლივ შეუდგენ გაწმენდის გატარებას აღნიშნული რიცხვიდან.

პარტიის გაწმენდის ცენტრალურ კომისიის თავმჯდომარე: **გორომჩენკო.**

წევრები: **ს. თოდრია.**
გ. სტურუა.

2—2. მდივანი: **პავლენკო.**

პარტიულ ორგანიზაციების საყურადღებოდ

ცხადდება ყველა პარტიულ ორგანიზაციების და საქართველოს კომპარტიის წევრთა საყურადღებოთ, რომ 1 ოქტომბრიდან შეწყვეტილია გაზეთების გზავნა საქ. კომპარტიის ცენტრ. კომიტეტის ხარჯზე, გაზეთების გზავნის შეწყვეტის თავიდან ასაცილებლად როგორც თბილისში ისე პროვინციაში წინადადება ეძლევათ ყველა

პარტიულ ორგანიზაციებს იზრუნონ თავის დროზე გაზეთების ხელის მოწერისათვის.

გაზეთები გაეგზავნებათ

მხოლოდ და მხოლოდ ნაღდ ფულზე,

გაზეთების ტრესტის მთავარ კანტორის მიერ ხელმოსაწერის ფასის მიღების შემდეგ. (მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 24).

განცხადება გაზეთების ნისიად გაგზავნის შესახებ დატოვებული იქნება უყურადღებოდ,

ვინაიდან ხელისმოწერის ფასის თავის დროზე მიღების შემდეგ შესაძლებელი გახდება გაზეთების გამოსაცემ ხარჯების დაფარვა.

გთხოვთ ყველა პარტიულ ორგანიზაციებს გამოგზავნოთ

სწორი მისამართები

მისამართის გამოცვლის დროს გადახდილ უნდა იქნეს: ქალაქ გარედ 20 ათასი მან. ქალაქში—10 ათასი მან.

გაზეთების ფასები

გაზეთის სახელწოდება	საქართველოში ქართ. ფულის ნიშნებით 1 თვით	 1 ოქტ.-დან წლ. ბოლომდე	ამიერკავკასიის რესპუბლიკებში 1922 წლის ფულის ნიშნებით 1 თვით	 1 ოქტ.-დან წლის ბოლომდე
„პრავდა გრუზიი“	100.000 მ.	300.000 მ.	250 მ.	750 მ.
„კომუნისტი“	100.000 მ.	300.000 მ.	250 მ.	750 მ.
„კარმირ ასტხი“	100.000 მ.	300.000 მ.	250 მ.	750 მ.
„მიწის მუშა“	40.000 მ.	120.000 მ.	100 მ.	300 მ.
„იენი ფიქრი“ (ახალი ფიქრი)	40.000 მ.	120.000 მ.	100 მ.	300 მ.

ცალკე ნომერი ყველა გაზეთებისა ღირს 5.000 მან.

გამოცხადებულ ფასებზე ზევით გაყიდვაში შემჩნეული პირები დაისჯებიან კანონის ძალით. 3—3

ეკონომიურ თანამშრომლობისათვის

როგორც მკითხველს ეცოდინება, განზრახულია შერეულ სააქციონერო საზოგადოების დაარსება, რომლის მიზანიც იქნება ხელი შეუწყოს ამიერ-კავკასიასა და რუსეთს შორის საქონლის ტრიალის აღორძინებას, ამ ორ ქვეყანას შორის ეკონომიურ კომერციულ ურთიერთობის და თანამშრომლობის განვითარებას და განმტკიცებას. ამ საზოგადოებაში მონაწილეობას მიიღებენ ერთი მხრივ სათანადო სახელმწიფოებრივი და საზოგადო ორგანიზაციები, მეორე მხრივ კერძო კაპიტალიც. საქმის ხელმძღვანელობა და წარმართვა, რა თქმა უნდა, დარჩება სახელმწიფო და კოოპერატიული კაპიტალის ხელში, ხოლო კერძო კაპიტალი დამხმარე როლს შეასრულებს, მისთვის ერთგვარი გარანტიის და მოგების მინიჭებით.

ასეთ საზოგადოების დაარსება ჩვენ დადებით მოვლენად მიგვაჩნია, და თუ ის გამოიჩენს საკმაო უნარს და საქმიანობას, მას შეუძლია დიდი სარგებლობის მოტანა როგორც ჩვენი ქვეყნისა, ისე რუსეთისათვის.

რამოდენიმე წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყანა მოწყვეტილი იყო რუსეთს, როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურად. თუ რა ნაყოფი მოგვიტანა ამან კერძოდ ეკონომიურ სფეროში, ეს ყველასათვის ნათელი უნდა იყოს, ვინც თვალებს განძრახ არ იბრმავებს.

საქართველო სასოფლო მეურნეობის ქვეყანაა, კერძოდ აქ საკმაოდაა გავრცელებული მაღალი სასოფლო-სამეურნეო კულტურა, ამასთან ისიც ფაქტია, რომ ჩვენ საკუთარი პური არასოდეს არ გვყოფნიდა.

მაშასადამე, ჩვენ გვჭირია სხვა ქვეყნებიდან, შემოზიდვა ერთი მხრივ პურეულის, მეორე მხრივ მრეწველობის პროდუქციის. სამაგიეროთ ჩვენ შეგვიძლია მივსცეთ ადგილობრივი ნედლეული და საკუთარი მეურნეობის ნაწარმოები. მხოლოდ საკითხავია, ვისთანაა უფრო ხელსაყრელი და შესაძლებელი საქონლის გაცვლა-გამოცვლის ასეთი ურთიერთობის გაჩაღება?

მენშევიკების ბატონობის სამმა წელმა ნათელყო, რომ მრავალ ჩვენ ნაწარმოებზე ნაკლები მოთხოვნილებაა ევროპაში, და მათი გასაღებაც ფრიად ძნელია იქ. ამ დროის განმავლობაში საქართველო კოლონიად გახდა ევროპის კაპიტალიზმის, რომელიც უკანასკნელ წვენს სწურავდა ჩვენი ქვეყნიდან, ხოლო სამაგიეროდ შემოქონდა ფრიად მდაბიო ხარისხის საქონელი ან სრულიად უსარგებლო და ფუფუნების საგნები. ეს არ იყო თანასწორი და ნორმალური ეკონომიური დამოკიდებულება, არამედ ჩვენი ქვეყანა სავსებით მოექცა ევროპის ბაზრის და კაპიტალის მონობაში. ამან გამოიწვია შინ მწვავე ეკონომიური კრიზისი. განსაკუთრებით დამღუპველად იმოქმედა ასეთმა მდგომარეობამ, ჩვენი ქვეყნის მოწყვეტამ რუსეთის ბაზრიდან, ჩვენი სასოფლო მეურნეობის მდგომარეობაზე, ვინაიდან ჩვენი ზოგიერთი სასოფლო ნაწარმოების მთავარი გამსაღებელი რუსეთის ბაზარი დახურული იყო, მრავალი დარგი ჩვენი მეურნეობისა მოსპობის გზას დაადგა. ღვინო, მატყლი, დაფნა, თამბაქო, ჩაი, კაკალი და მრავალი სხვა, რომლის უმთავრეს ბაზარს რუსეთი წარმოადგენდა, თან და თან მცირდებოდა. ზოგიერთი ძვირფასი კულტურა ჩვენში სრულ განადგურების წინაშე იდგა.

დღეს მდგომარეობა არსებითად იცვლება. რუსეთის ბაზარი გახსნილია და შესაძლებელია მასთან ინტენსიური ეკონომიური ურთიერთობის აღდგენა. ამას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ რუსეთში ამ ბოლო ხანებში მრეწველობას და საერთოდ სამეურნეო ცხოვრებას დიდი გამოცოცხლება ეტყობა. სამოქალაქო ომის გათავების და მშვიდობიანი ცხოვრების დამყარების შემდეგ, იქ ისევ ამუშავდა ფაბრიკა-ქარხნები, რომელიც საკმაოდ ამზადებს ყველა ფართოდ მოსახმარ საგნებს. მეორე მხრივ აღსანიშნავია, რომ წრეულს რუსეთში საკმაო მოსავალი მოვიდა. და საშუალება გვაქვს პურეული რუსეთიდან შევიძინოთ და განვთავისუფლდეთ ამ მხრივ დასავლეთზე დამოკიდებულებიდან.

ამ რიგად, რუსეთთან ეკონომიურ დამოკიდებულების გაძლიერება უაღრესად სასარგებლოა ჩვენთვის. იგი გაანელებს ჩვენში არსებულ სასურსათო კრიზისს, ის ისევ ფეხზე წამოაყენებს თითქმის მიტოვებულ ძვირფას სამეურნეო კულტურას ჩვენში და საერთოდ ჩვენს ქვეყანას ეკონომიურად მოაღონიერებს.

ამასთან ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ ურთიერთობის გაძლიერებასთან ერთად, ყურადღება უნდა მიექცეს ადგილობრივ მრეწველობის აღორძინებას. მეფის რუსეთიც და კაპიტალისტური ევროპაც მოწადინებულნი იყვნენ, რომ ჩვენი ქვეყანა არ განვითარებულიყო და სულ ყოფილიყო დამოკიდებულებაში მათზე, ამას მოითხოვდა მათი იმპერიალისტური ბუნება. საბჭოთა ხელისუფლება კი მოწადინებულია ააყვაოს მრეწველობა იქ, სადაც ამისათვის არსებობს ბუნებრივი პირობები. ამის მაგალითიც მოგვცა რუსეთის საბჭოთა მთავრობამ, როცა ერთი მოწყობილი ფაბრიკა გამოგვიგზავნა. ამიტომ ჩვენ ვამბობთ, რუსეთთან ეკონომიურ დამოკიდებულების გაძლიერება სასარგებლოა არა მარტო დღევანდელი ეკონომიური კრიზისის შესანელებლად და ჩვენი სასოფლო მეურნეობის განსავითარებლად, არამედ ჩვენი მრეწველობის ასაღორძინებლადაც. ეს ურთიერთობა ჩვენ მოგვცემს საამისო საშუალებებს.

საბერძნეთის ამბები

საბერძნეთში დიდი ამბები ხდება. ოსმალეთის გამარჯვებისა და საბერძნეთის ჯარების სასტიკი დამარცხების შემდეგ, იქ საზოგადოებრივი ცხოვრება თავის კალაპოტიდანაა გადმოსული და დიდ ცვლილებებს განიცდის. სამხედრო აჯანყება თავის გამარჯვებას დღესასწაულობს და საბერძნეთის ხალხს ახალი, ბედნიერი ცხოვრებისაკენ წაყვანას პირდება.

სამხედრო გადატრიალებას შედეგათ მოყვა ვენიზელოსის მომხრეების გამარჯვება და ყოფილი მეფე კონსტანტინეს სრული დამარცხება.

რას წარმოადგენს ეს სამხედრო გადატრიალება? რას უქადის ის საბერძნეთის ხალხს? მნიშვნელოვანია ის თუ არა? როგორია მისი შედეგი პერსპექტივები?

უნდა ითქვას, რომ საერთოდ აღებული სამხედრო გადატრიალება სრულიად ჩვეულებრივი მოვლენაა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სახელმწიფო სასტიკად მარცხდება ომში. სამხედრო წრეებში ყოველთვისაა უკმაყოფილო ელემენტები, რომლებიც არ არიან კმაყოფილი ამა თუ იმ სახის სამხედრო პოლიტიკის. ესენი დამარცხების დროს სარგებლობენ ჯარების უკმაყოფილებით და როდესაც ნებით არ გაუდით არაფერი შეიარაღებულ ძალას მიმართავენ თავისი მიზნების განსახორციელებლათ.

ასევე მოხდა დღეს საბერძნეთშიაც. ვენიზელოსის მომხრე გენერლებმა და საერთოთ სარდლებმა ისარგებლეს ჯარისკაცების აღელვებით ყოფილ მეფის წინააღმდეგ, და გამოიყენეს ეს დიდი ენერგია თავის ინტერესებისათვის. გადააყენეს მეფე კონსტანტინე და მისი სამინისტრო კაბინეტი და შეადგინეს თავისი ვენიზელოსის მომხრეებისაგან.

რა განსხვავებაა ვენიზელოსსა და მეფე კონსტანტინეს მომხრეებს შორის.

ჯერ კიდევ ორი წლის უკან ვენიზელოსის მომხრეებს ეპყრათ ხელთ მთელი სახელმწიფო ძალა-უფლება და ბატონ-პატრონი იყვნენ მთელი საბერძნეთის. მაშინ ჩვენ ვხედავდით რომ საბერძნეთის სათავეში ისევ მაინც მეფე იდგა, თუმცა კონსტანტინეს მოწინააღმდეგე, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მაინც **მეფე**. ასე რომ საზოგადოთ მეფის წინააღმდეგნი არ არიან. მაშ რაშია საქმე?

საქმე იმაშია, რომ ორიენტაცია ამ ორი მიმდინარეობისა სხვა და სხვა ნაირია. ორი წლის უკან ვენიზელოსის ჯგუფის ორიენტაციამ გაიმარჯვა და მისი პოლიტიკა გამოდგა უფრო სწორი და მართალი საბერძნეთის გაბატონებულ კლასებისათვის. შედეგათ საბერძნეთს ხვდა წილათ დიდი გამარჯვება; მან მოკავშირეების თანხმობით დაიკავა მთელი ფრაკია და მცირე აზიის მნიშვნელოვანი ნაწილი. კონსტანტინეს გამარჯვების შემდეგ კი საბერძნეთი გადაიჩეხა ოსმალეთთან უნაყოფო ბრძოლაში და კიდევაც დამარცხდა. პირველი ეყრდნობოდა პროგრესიულ ოფიცრობასა და ლიბერალურ ბურჟუაზიას, მეორე კი, მსხვილ ბურჟუაზიასა და მიწადმფლობელებს, რომლებიც წინააღმდეგი არიან ყოველგვარი რეფორმისტული პოლიტიკის.

ასე რომ ვენიზელოსის მომხრეების გამარჯვება რამდენიმეთ პროგრესიულია. მაგრამ თუ სახეში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ასეთი პატარა განსხვავება ამ ორ მიმართულებათა შორის არ შეიძლება ჩაითვალოს დღეს, იმპერიალისტურ კაპიტალიზმის ხანაში ძირიად მამოძრავებელ მოტივებათ მით უმეტეს მაშინ, როდესაც მუშათა კლასი იმუქრება რევოლიუციითა და „ანარქიით“ ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ეს ვენიზელოსსაც მშვენივრათ ესმოდა თავისი ბატონობის დროს და ამიტომაც იყო, რომ სასტიკ ზომებს ღებულობდა მუშათა კლასის ავანგარდის, კომუნისტურ პარტიის წინააღმდეგ.

მაგრამ სულ სხვა მდგომარეობაა შექმნილი დღეს საბერძნეთში და კომუნისტური პარტიის ისე ადვილათ დატუქსვა უკვე აღარც კი შეიძლება. საბერძნეთის ხალხი მიემხრო დღეს ვენიზელოს უმთავრესათ იმიტომ, რომ მისგან მოელის მეფე კონსტანტინეს მიერ ოსმალეთთან დაწყებული ომის საშინელი მძიმე ჭრილობების რაც შეიძლება მალე მოშუშებას.

მეორეთ ის, რომ ფრონტზე სასტიკათ დამარცხების გამო გახრწნილ ჯარის ყოლა რკინის ხელებში არც ისე ადვილია, მასთან თუ მივიღებთ სახეში იმ გარემოებასაც, რომ აჯანყების დაწყების პირველ ხანებში ჯარისკაცები თხოულობდენ მეფე კონსტანტინეს ჩამოგდებასა და საბერძნეთის გამოცხადებას რესპუბლიკათ.

ყველაფერი ეს ძალიან პოხიერ ნიადაგს ქმნის საბერძნეთის კომუნისტური პარტიის მუშაობისათვის საბერძნეთის მშრომელთა მასებში და აახლოვებს მისი გამარჯვების წუთსაც.

აი სწორეთ ამ მხრით ეს სამხედრო გადატრიალება მეტად ღირს შესანიშნავია. მოძრაობის ყინული საბერძნეთში უკვე დაიძრა ვენიზელოსელების გამარჯვებით. მას ვეღარ შეაჩერებს უკვე ვერც ვენიზელოსელების მეფე გიორგი მეორე და მასაც წალეკავს.

დაწყებული სახალხო მოძრაობა საბერძნეთში უნდა დავიდეს თავის ლოღიკურ დასკვნამდე.

ხ. ანდრიაძე.

უმაღლესი სკოლის განმტკიცებისთვის

საქართველოში უმაღლესი სკოლა, თავის თავად ახალია, მას ჯერ არ გაუდგამს ღრმად ფესვები და არ შეუქმნია თავის კედლებში დიდი მეცნიერული ძალები.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ერთ-ნახევარი წლის განმავლობაში ძლიერ ცოტა რამ გაკეთდა უმაღლეს სკოლაში კომუნისტური სულის ჩანერგვისა და განმტკიცებისათვის. განათლების სახალხო კომისარიატმა მოახდინა მხოლოდ ერთგვარი რეორგანიზაცია მის სტრუქტურაში, არსებითი რეფორმა კი ჯერ არ გატარებულა.

უმაღლესი სკოლების განსაკუთრებულ ნაკლს შეადგენდა მატერიალურ საშუალებათა და სამეცნიერო ძალების უქონლობა, სტუდენტობის დეზორგანიზაცია, და სამოსწავლო წელი არ შეიძლებოდა აღნიშნულიყო მეცადინეობის ნორმალურად მსვლელობით. საქართველოში უმაღლესი სკოლის მდგომარეობა სისწორით იყო აღნიშნული ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტის უწყების ერთ ერთ კორესპონდენციაში სათაურით „საქართველოს უმაღლესი სკოლა საფრთხეშია“.

ამიტომ ბუნებრივია ახალგაზრდობის ლტოლვა მოსკოვის და პეტროგრადის უმაღლეს სასწავლებლებისაკენ. ამავე დროს საბჭოთა საქართველოში ჩვენ მივაღწიეთ იმ მომენტს, როდესაც განათლებამ უნდა დაიჭიროს კომუნისტურ აღმშენებლობის საქმეში მისი უდიდესი მნიშვნელობის საკადრისი ალაგი.

პირველი და წარმოებისათვის მნიშვნელოვანი ამოცანა განათლებისათვის არის—უმაღლესი სკოლის საშუალებით შექმნა, წინწაწევა მუშაკებისა ყოველ სახელმწიფოებრივ და სამეურნეო სფეროში.

ჩვენს წინაშე სდგას დიდი გრანდიოზული საქმე: შექმნა მტკიცე, კლასიურად მჭიდროდ შეკავშირებულ და გარეგნულად ჩამოყალიბებულ უმაღლესი სკოლისა.

უნდა გატარდეს არსებითი რეფორმა, რომ მივიღოთ პროლეტარული უმაღლესი სკოლა. აუცილებელია პრინციპების და მეთოდების შეცვლა, განხილვა და დამუშავება უმაღლესი სკოლის ყველა ელემენტებისა და მისი საზოგადოებრივ შრომასთან შეკავშირება.

ჩვენ ვიცით, რომ უმაღლესი სკოლის ჩქარი რეორგანიზაცია, მისთვის კომუნისტური შინაარსის მიცემა ძნელია. ამას სჭირდება დრო და პროლეტარიატის ყველა კულტურულ ძალების განსაკუთრებული ყურადღება.

მაგრამ ჩვენ მაინც უნდა დავსვათ დღის წესრიგში ეს ამოცანა და ამ მხრივ პირველი რეალური ნაბიჯი არის უმაღლეს სკოლებთან მუშათა ფაკულტეტების დაარსება.

რუსულ და ქართულ ენაზე მუშათა ფაკულტეტების დაარსებაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ განათლების სახ. კომისარი, პროფ. კავშირთა საბჭოს კულტურული განყოფილება და პარტიის თბილისის კომიტეტი. დებულების თანახმად მსმენელთა მიღების დროს დაცული იქნება ძირითადი პრინციპი, სახელდობრ: „მუშათა ფაკულტეტებზე მსმენელად მიიღებიან მუშები, რომელთაც უმუშავნიათ წარმოებაში ფიზიკური შრომით არა ნაკლებ 2 წლისა, და მიწის მუშები, რომელნიც სხვისი შრომის ექსპლოატაციას არ ეწევიან“.

ამ პუნქტს, და აგრეთვე მუშების, გლეხების და არა ფიზიკურ შრომის პირთა პროცენტ. ურთი ერთობას დიდი მნიშვნელობა აქვს. მეცნიერების კავშირი შრომასთან, წარმოებასთან განხორციელებულია სავსებით.

თავისი არსებობის პირველი ნაბიჯიდანვე მუშათა ფაკულტეტები უნდა სარგებლობდენ პროფესიონალურ კავშირების განსაკუთრებული ყურადღებით. არც ერთი წუთით არ უნდა შესუსტდეს მსმენელის კავშირი თავის კლასთან. მშრომელმა ახალგაზრდობამ უნდა შექნას კომუნისტური ფუძე უმაღლეს სკოლაში და ამით ყველას დაანახვოს ორგანიზაციის სწავლის და ცოდნის მიღების უნარიანობა.

მუშათა ფაკულტეტები არის ჩვენი ურთად ერთი იარაღი უმაღლეს სკოლისათვის საბრძოლველ ფრონტზე.

მეურნეობის განმტკიცების პირობები მოითხოვს ჩვენგან რაც შეიძლება, საჩქაროდ მომზადებას მუშათა ინტელიგენციის, რომელიც ენერგიულად შეუდგება წარმოების და მეურნეობის ორგანიზაციას.

ჩვენთვის საჭიროა მუშები და გლეხები სწავლა და მეცნიერება მიღებული ინჟენრების, აგრონომების, ექიმების და პედაგოგების სახით.

უმაღლესი სკოლა უნდა იყოს საბჭოთა აღმშენებლობის ცენტრში.

ის უნდა იყოს პროლეტარიატის შემოქმედებითი ძალების წყარო.

ჩვენ უცდით, რომ მუშათა ფაკულტეტები, გაამართლებენ მასზე დაკისრებულ იმედს.

გ. ხაჰაპურიძე.

რადიო-დეპეშები

ახლო აღმოსავლეთის ამბები

თავს შველიან

მოსკოვი. 4 ოქტ. ანგორიდან 29 სექტემბერს იტყობინებიან: სულთანი ფიქრობს გადადგომას მემკვიდრის სასარგებლოდ. გავლენიან პარტიების წევრები სტოვებენ კონსტანტინოპოლს.

ფრაკიის ბედი

ქემალისა და ბუიონის მიერ შემუშავებულ ხელშეკრულების პროექტში ნაგულისხმევია ფრაკიის მოკავშირეთა ჯარების მიერ დაუყოვნებლივი ოკუპაცია. ერთი თვის შემდეგ მოკავშირეები ფრაკიის მმართველობას გადასცემენ ქემალისტურ კომიტეტს. ქემალის ჯარები შევა ფრაკიაში ზავის შეკვრის შემდეგ. ეს ხელშეკრულება უნდა დამტკიცებულ იქნას ანგორის ეროვნულ კრების მიერ.

— საბერძნეთის ჯარმა ფრაკიაში გადავიდა რევოლიუციონერების მხარეზე.

საბერძნეთთან რევკომის საქმიანობა

მოსკოვი. 4 ოქტომ. საბერძნეთის რევკომის უფროსმა გონატასმა ნაციონალური კრება დათხოვნილად გამოაცხადა. რევკომი ღებულობს ცნობებს, რომ სახელმწიფოს სხვა და სხვა ადგილებში სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლებანი მოძრაობას მიემხრნენ.

დიპლომატიული დარბაზობა

მოსკოვი. 4 ოქტომ. დარდანელში მდგომარეობის გამო, კარახანი ინახულეს ინგლისის სავაჭრო წარმომადგენელმა ხაჯსონმა, ოსმალეთის წარმომადგენელმა აზიზ-ბეიმ და საფრანგეთის დეპუტატ ერიომ.

პრესის აზრი

ნაუენი. 4 ოქტ. იტალიის გაზეთის „კორიერე დელა სერას“ აზრით ძალიან საეჭვოა სამშვიდობო კონფერენციის მოწვევა მანამ, სანამ საბერძნეთის კაბინეტი არ დასთმობს ფრაკიას.

ფრანკლენ ბუიონის ეჭვი

ბორდო. 4 ოქტ. ფრანკლენ ბუიონის და ქემალ-ფაშას შორის მომხდარ თათბირის გამო სმირნაში, ფრანკლინ ბუიონი გამოსთქვამს ეჭვს, რომ მოკავშირეთა წინადადება დაედება მოლაპარაკების საფუძვლად, ვინაიდან დიდი წინააღმდეგობა არის მოკავშირეთა და ოსმალეთის თვალსაზრისის შორის.

ანგორაში

ბორდო. 4 ოქტ. ორშაბათს ქემალ ფაშა ჩავიდა ანგორაში, სადაც მას დიდი ზეიმით შეხვდნენ.

ანგორის პროტესტი

ბორდო. 4 ოქტ. ანგორის მთავრობამ გადასცა მოკავშირეთა უმაღლეს კომისრებს პროტესტი ბერძნების სამხეცის წინააღმდეგ.

რუსეთის პროტესტი

ჰანოვერი. 4 ოქტ. საბჭოთა მთავრობამ გადასცა ინგლისის მთავრობას ახალი საპროტესტო ნოტა სრუტეების ბლოკადის წინააღმდეგ. ნოტა მოითხოვს ბლოკადის დაუყოვნებლივ მოხსნას.

კონსტანტინეს გამგზავრება.

ბორდო. 4 ოქტ. კონსტანტინე მეფე გაემგზავრა ათინიდან პალერმოში.

მიღება გიორგი მეფესთან.

ბორდო. 1 ოქტ. 2 ოქტომბერს მეფე გიორგიმ მიიღო რევოლიუციონური კომიტეტი. პოლკოვნიკმა განატოსმა მიულოცა გიორგის ტახტზე ასვლა.

ვენიზელოსი.

კაირო. 4 ოქტ. კონსტანტინოპოლიდან იტყობინებიან, რომ როგორც მოკავშირეთა ისე ოსმალეთის წრეები ოპტიმისტურად უცქერიან იმ შეხვედრას, რომელიც მოხდა ვენიზელოსსა და ლორდ კერზონის შორის ლონდონში. ვენიზელოსმა მოულოდნელად გადასდო თავისი გამგზავრება კაისში. პირველი განზრახვის შეცვლა საგანს აძლევს ინგლისის გაზეთებს გაუკეთონ ამას სხვადასხვაგვარი კომენტარიები.

დიპლომატიური დარბაზობა.

ნაუენი. 4 ოქტ. ინგლისის წარმომადგენელი სადარბაზოდ იყო მეფე

ქურნალ-გაზეთებიდან

ევროპის საემისიო ბანკების ოქროს მარაგი.

ლონდონის ბანკირთა სახლის სემიუელ მონტეგიუს ბიულეტენს მოყავს შემდეგი ცნობები ვერცხლისა და ოქროს მარაგის შესახებ ევროპის ცენტრალურ საემისიო ბანკებში (მილიონ გირვანქა სტერლინგში):

	ოქრო.	ვერც.	სულ
ინგლისი	128,9	—	128,9
საფრანგეთი	148,2	11,4	154,6
გერმანია	50,0	0,9	50,9
ესპანია	100,9	25,7	126,6
იტალია	34,5	3,0	37,5
ჰოლანდია	50,5	0,6	51,1
ბელგია	10,7	1,6	12,3
შვეიცარია	21,7	4,3	26,0
შვეცია	15,2	—	15,2
დანია	12,7	0,2	12,9
ნორვეგია	8,2	—	8,2.

ამ რიგათ უმნიშვნელო, მაგრამ მაინც ყველაზე უფრო მეტი ოქროს მარაგი აქვთ საფრანგეთს, ინგლისს და ესპანეთს.

ინგლისში.

ლოიდის ანგარიშში მოყვანილია შემდეგი ცნობები ინგლისის გემთა მშენებლობის შესახებ მიმდინარე წლის მეორე მეოთხედის დასასრულს. საერთო ტონაში გემებისა, რომლებიც მზადდებოდა ინგლისის ვერფებზე, შეადგენდა 1.919,5 ათასს ტონას, 316 ათას ტონით ნაკლები ვიდრე პირველი მეოთხედის დასრულებისას. მაგრამ ამ რიცხვიდან 481 ათას ტონაზე მუშაობა დროებით შეჩერებულ იქნა, ასე, რომ ნამდვილათ მზადდებოდა მხოლოთ 1.439 ათასი ტონა. ომამდე საშუალო ტონაჟი გემებისა, რომლებიც მზადდებოდა ინგლისში, შეადგენდა 1.890 ათას ტონას. ჩაშვებულ იქნა წყალში მიმდინარე წლის მეორე მეოთხედში 148,9 ათასი ტონა. ღრმა კრიზისი, რომელსაც განიცდის ინგლისის გემთა მშენებლობა, თავის გამოხატულებას პოულობს იმაში, რომ ხელახლა დაწყებულ გემების აშენების ტონაჟი შეადგენდა მეორე მეოთხედში ინგლისისათვის მეტად პატარა ციფრს—38,9 ათას ტონას.

კომუნიზმის შიში.

მეუმრავლესეთა სოციალ-დემოკრატიული პარტიის აუსბურგის ყრილობის სხდომაზე დებატების დროს რობერტ შმიდტმა აღნიშნა, რომ არა თუ **სოციალიზმი, არამედ დემოკრატიაც მეტად ძვირფასი საშუალებაა პარტიისათვის კაპიტალიზმის მოსასპობათ.**

ამიტომ აუცილებელი საჭიროა იმ წრეების გადმოყვანა სოციალისტურ იდეოლოგიისაკენ, რომლებიც, ჯერ-ჯერობით კიდევ დაინტერესებული არიან კაპიტალიზმში. „პარტიის ამოცანა გარდამავალ პერიოდში, განაგრძობს ორატორი,—ეს ბრძოლაა რეალური ღირებულებების დასაპყრობათ. წინააღმდეგ ბოლშევიკების ფანტასტიურ გეგმებისა ჩვენ ვრჩებით შესაძლებელ მიღწევის ნიადაგზე. უკვე დღეს გერმანიის სახელმწიფო საწარმოო დაწესებულები აწარმოებენ უფრო იაფად, ვიდრე კაპიტალისტები“. გიურენკონის მინისტრმა კისმა აუწყა ყრილობას შვიდი სამთავროს შეერთება დემოკრატიულ რესპუბლიკად და ადმინისტრაციის და პოლიციის დემოკრატიზაციის შესახებ სოციალ-დემოკრატიულ მთავრობის დროს. კისი ფიქრობს, რომ გერმანიის კონსტიტუცია რევოლიუციონურ გავლენას მოახდენს მხარეზე, როდესაც ის გატარებულ იქნება ცხოვრებაში. ბერნშტეინი აკრიტიკებს გერმანე მიულერს, რომელიც, ამბობს ის, მოწადინებული იყო ზურგი შეექცია სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ომის წინანდელ ყველა განცხადებებისთვის. იმ დროის ეს განცხადებები სწორი იყო; დღეს კი მდგომარეობა შეიცვალა. ბევრი მათგანი რაც დაწერილი ქონდა მარქსს მისი „კაპიტალის“ პირველ ტომში დაძველდა, მაგრამ შესწორებულია მეორე ტომში. პესიმიზმისთვის არაა ნიადაგი, თუმცა უკანასკნელ ხანებში გაგრძელებული პესიმიზმი მუშებში უმთავრესად გამოწვეულია შეუფარდებლობით გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის სიტყვასა და საქმეს შორის. აქედან გამომდინარეობს ის საფრთხე, რომ ჩვენ შეიძლება დავკარგოთ ახალგაზრდობა, **რომელიც ნაწილობრივათ უკვე გადადის კომუნისტურ პარტიისკენ.** კომუნისტური ახალგაზრდობის მასა ხელახლა უნდა იქნეს დაპყრობილი გაერთიანებულ პარტიის მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეორგთან, რასაც სთვლიან ინგლისის მიერ ახალი მეფის ცნობად.

დემონსტრაცია ომის წინააღმდეგ.

ბორდო. 4 ოქტომბერი. ინგლისის მრავალ ადგილებში გაიმართა დემონსტრაციები, რათა აიძულონ ინგლისის მთავრობა თავი შეიკავოს სეპარატიულ მოქმედებიდან ახლოაღმოსავლეთში.

ინგლისელების მოქმედება.

ბორდო. 4 ოქტომბერი. ლონდონიდან იტყობინებიან, რომ ლორდ კერზონმა აცნობა საფრანგეთის ელჩს ლონდონში გენერალ გორინგტონისათვის ინსტრუქციების გაგზავნის შესახებ, რომელშიაც მას ევალება მიიღოს საფრანგეთის და იტალიის თვალსაზრისი ბერძნების მიერ ფრაკიის ევაკუაციის საკითხში. რაც შეეხება დარდანელის აზიის ნაპირის ევაკუაციას, „პტი პარიზენ"-ის სიტყვებით, რადგან საფრანგეთმა და იტალიამ საჭიროდ დაინახეს გადაიყვანოს თავიანთი ჯარები ევროპის ნაპირზე. ინგლისის გარნიზონის დატოვება წარმოადგენს საშიშროებას.

ოსმალეთის დიდი ეროვნული კრების პოზიცია.

ჰანოვერი. 4 ოქტომბერი. სტამბოლიდან მიღებულ ცნობების თანახმად, ოსმალეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ ერთხმად მოიწონა ანგორის მთავრობის პოზიცია აღმოსავლეთის საკითხში. ეროვნულმა კრებამ დაადგინა აგრეთვე დაიწყონ მოლაპარაკება დროებითი ზავის შესახებ და გაგზავნოს თავისი წარმომადგენლები მუდანიის კონფერენციაზე დროებითი ზავის შესახებ მოლაპარაკების საწარმოებლად.

მუდანიის კონფერენციაზე ქემალი იზმიდ-ფაშას გზავნის.

ჰანოვერი, 4 ოქტომბერი. ქემალ-ფაშამ აღჭურვა უფლებით იზმიდ-ფაშა მიიღოს მონაწილეობა მუდანიის კონფერენციაზე. იზმიდ-ფაშა გაემგზავრა მუდანიაში.

ინგლისი აღმოსავლეთ ფრაკიას ოსმალეთს უთმობს.

კაირო, 4 ოქტომბერი. საკითხი ფრაკიის შესახებ განხილული იქნება ინგლისის თვალსაზრისის საფუძველზე, რომლითაც აღმოსავლეთ ფრაკიის ევაკუაცია ბერძნების მიერ უნდა მოხდეს რაც შეიძლება დაჩქარებით. კონფერენციაზე ალბათ, გადაწყვეტილ იქნება, რომ საბოლოო ზავის დამყარებამდე, მოკავშირეების ჯარები ოსმალეთის ჯარებთან ერთად დაიჭერენ მარიცის მთელს რაიონს. სტამბოლიდან იტყობინებიან, რომ როგორც მოკავშირეების, ისე ოსმალეთის წრეებში მდგომარეობას უცქერიან უფრო ოპტიმისტურად.

ფრანკლენ ბუიონი და მუდანის კონფერენცია.

ბორდო. 4 ოქტ. ფრანკლენ ბუიონმა გადასცა მოკავშირეების უმაღლეს კომისარებს ოსმალეთის თანხმობა, მიიღოს მონაწილეობა მუდანიის სამხედრო კონფერენციაზე, ნეიტრალური ზონის ევაკუაციის და ფრაკიის საკითხის განსახორციელებლათ.

დროებითი ზავი.

ჰანოვერი. 4 ოქტომ. სტამბოლიდან მიღებულ ცნობებით, კვირას ბერძნებსა და ოსმალების შორის დაიდო დროებითი ზავი, და ოსმალეთის ეროვნულმა კრებამ მიანდო ქემალ-ფაშას შესწყვიტოს სამხედრო მოქმედება ფრონტებზე.

„მატენის" ცნობებით, დროებითი ზავი ძალაში შევიდა ორშაბათს, მას შემდეგ, როცა ქემალ-ფაშამ მიიღო საამისო უფლებები თავის მთავრობიდან.

პარიზის ოპტიმიზმი.

ბორდო. 4 ოქტომბერი. პარიზში სუფევს დიდი ოპტიმიზმი მუდანიის კონფერენციის შესახებ. თუმცალა „ეკლერ ფრანსეზ"-ი ამბობს, რომ საბერძნეთის კაბინეტი გასცემს თუ არა ბრძანებას ფრაკიის ევაკუაციის შესახებ და, ამ ბრძანების დროს, საბერძნეთის ჯარები დაემორჩილებიან თუ არა მას.

წარმომადგენლების შეხვედრა მუდანიაში.

კროიდონი. 4 ოქტომბერი. გუშინ მუდანიაში მოხდა გენერალი გარინგტონისა და მოკავშირეების წარმომადგენლების შეხვედრა ანგორის წარმომადგენლებთან. ოფიციალური ცნობები შეხვედრის შედეგების შესახებ გამოქვეყნებული იქნება მოკავშირეების გენერლების სტამბოლში დაბრუნების შემდეგ.

ინგლისი და ფრაკია.

ჰანოვერი. 4 ოქტომბერი. ლონდონიდან მიღებული ცნობებით ლორდ კერზონმა განუცხადა საფრანგეთის ელჩს, რომ ინგლისის მთავრობამ დაავალა თავის წარმომადგენელს მუდანიის კონფერენციაზე დაადგეს საფრანგეთის და იტალიის თვალსაზრისს ფრაკიაში ოსმალეთის საზღვრების გამორკვევის დროს.

ინგლისის იმედი მუდანიის კონფერენციაზე.

კროიდონი. 4 ოქტომბერი. ინგლისის [illegible] მუდანიის კონფერენციის შესახებ, ამბობენ, რომ კონფერენციის მუშაობის გეგმა საერთო სახით გამოხატულია მოკავშირეების კოლექტიურ ნოტაში, და რომ მოკავშირეებმა განსაზღვრეს დათმობა ფრაკიის საკითხის შესახებ ნეიტრალური ზონის ოსმალეთის ჯარების მიერ ხელშეუხებლობით. ამ რიგად, მუდანიის კონფერენციის ნაყოფიერება სავსებით დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ პოზიციას დაადგებიან ოსმალეთის წარმომადგენლები

ფრანკლინ ბუიონი კონფერენციაზე.

ბორდო. 4 ოქტომბერი. მუდანიის კონფერენციაზე მონაწილეობას ღებულობს ფრანკლინ ბუიონი.

„დეილი ხრონიკლის" აზრი.

კროიდონი. 4 ოქტომბერი. იხილავს რა რუსეთის პოზიციას ახლოაღმოსავლეთის საკითხში, „დეილი ხრონიკლი" აღნიშნავს, რომ სევრის ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია რუსეთის მონაწილეობა ამ საკითხის გადაჭრაში. მაგრამ გაზეთის აზრით, რუსეთმა უნდა მიიღოს მონაწილეობა სრუტეების საკითხის გადაჭრაში, როცა დადგება დრო ამ სრუტეებისათვის რეჟიმის დაწესებისათვის და ფიქრობენ, რომ ეხლა უნდა მოხდეს ამ საკითხის გადაჭრა საერთო მასშტაბით. ხოლო, სრუტეების საკითხის საბოლოო გადაჭრა უნდა მოხდეს საზავო კონფერენციაზე, სადაც განხილული იქნება ამ საკითხის ყველა დეტალები. ამ უკანასკნელ კონფერენციაზე, გაზეთის აზრით, უნდა მოიწვიონ რუსეთიც. ამ კონფერენციამ უნდა გამოიმუშაოს სტატუტი სრუტეებისათვის, როგორიცაა სტატუტი დუნაისათვის. ამ სტატუტზე ხელი უნდა მოაწერონ არა მარტო იმ სახელმწიფოებმა, რომლებიც მდებარეობენ შავი ზღვის ნაპირას, არამედ აგრეთვე ყველა იმ სახელმწიფოებმა, რომელთა გემები გაივლის სრუტეებში. ამ რიგად ამ სტატუტს ექნება მსოფლიო დოკუმენტის ხასიათი.

ჰანოვერი. 4 ოქტომ. საფრანგეთის ელჩს ლონდონში ჰქონდა სერიოზული თათბირი ლორდ კერზონთან, ფრაკიის და სრუტეების საკითხების შესახებ.

დამოკიდებულებას. პრესის მუშაკები ბევრ ადგილებში ვერ სარგებლობენ სათანადო უფლებებით. არის მრავალი შემთხვევა მუშა კორესპონდენტების შევიწროებისა. ამ მოვლენასთან უნდა ვაწარმოვოთ ენერგიული ბრძოლა".

— დელეგატები კამათში მიუთითებდენ აუცილებლობაზე ჩაითვალოს პარტიულ დანაშაულობად პრესისადმი უყურადღებობა. ჟურნალისტიკას გაუმჯობესება უნდა სწარმოებდეს უმთავრესად გარედან პარტიული ხაზის მიმართულების საშუალებით.

ტრანსპორტზე მომუშავეთა ყრილობა

მოსკოვი. 3 ოქტ. გაიხსნა ტრანსპორტზე მომუშავეთა სრულიად რუსეთის ყრილობა. ყრილობაზე მოვიდა 330 დელეგატი, აქედან 315 კომუნისტი. ყრილობის საპატიო თავმჯდომარედ არჩეული არიან ამხ. ლენინი, ზინოვიევი, ტროცკი და ტომსკი.

მისალმების სიტყვაში ამხ. ძერჟინსკიმ განაცხადა: მძიმეა, გაჭირვებით სავსეა ტრანსპორტზე მომუშავეთა ცხოვრება, მაგრამ შეურყეველია მათი გადაწყვეტილება დაეხმარონ საბჭოთა რესპუბლიკას. ევროპის პროლეტარიატი გულდასმით ყურს უგდებს ბრძოლას სატრანსპორტო ფრონტზე. ყრილობა კიდევ ერთხელ დაამტკიცებს, რომ რუსეთის ტრანსპორტის მუშაკი თავის ადგილზე სდგას". სრულიად რუსეთის პროფკავშირთა საბჭოს სახელით ილაპარაკა ამხ. ტომსკიმ.

რუსეთის კომუნისტური პარტიის ცეკას სახელით ილაპარაკა ამხ. რადეკმა, რომელმაც ახლო აღმოსავლეთის ამბების შესახებ სთქვა, რომ ერთად ერთი ქვეყანა, რომელმაც გამოეხმაურა ოსმალეთის ბრძოლას, არის საბჭოთა რუსეთი. ოსმალეთის გამარჯვება საბერძნეთზე არის მშიერი გლეხის გამარჯვება მსოფლიო კაპიტალზე. საკითხი სრუტეების შესახებ, სთქვა ამხ. რადეკმა უნდა ჩაითვალოს შავი ზღვის განაპირა ერების საკითხად.

ხირურგების ყრილობა.

მოსკოვი. 3 ოქტომბერი. რუსეთის ხირურგების ყრილობის დახურვის დროს წარმოთქმულ საბოლოო სიტყვაში პროფ. რეინმა მიუთითა ყრილობის მნიშვნელობაზე რუსეთის ხირურგიისათვის.

ყრილობამ მოისმინა 143 მოხსენება.

სამხედრო მოქმედება

ჩანაკთან

კროიდონი. 4 ოქტომბერი. ოსმალეთის ჯარის ნაწილები რჩებიან ჩანაკის რაიონში, თუმცალა ისინი თანდათანობით დააშორეს ინგლისის მოწინავე ხაზს.

ბორდო. 4 ოქტომბერი. საფრანგეთის ჯარებმა 10 კილომეტრით დაიხიეს უკან.

ბორდო. 4 ოქტომბერი. ქემალ ფაშამ მისცა ბრძანება მოწინავე სადარაჯოებს, დაიხიონ უკან ჩანაკიდან იმ მანძილზე, რომ დაშორებულნი იყონ ინგლისის ჯარებს.

ინგლისელების მოქმედება.

მოსკოვი. 4 ოქტ. ინგლისის (დამახინჯებულია)... გადასწყვიტეს არ დაუშვან ოსმალეთის ჯარები ევროპიულ ნაპირზე და წარუდგინონ ქემალს ულტიმატუმი ნეიტრალური ზონის დაუყონებლივ დაცლის შესახებ.

— გენ. გარიგტონს ნაბრძანები აქვს დასცალოს მთელი გალიპოლის ნახევარ კუნძული სამოქალაქო მცხოვრებლებისაგან.

— ინგლისელებმა დასდგეს გალიპოლში მძიმე ზარბაზნები.

— ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა არ დაუშვას ქემალისტების ევროპის ნაპირზე გადასვლა კონფლიქტის საბოლოოდ გადაწყვეტამდე.

მოსკოვი. 4 ოქტ. კონსტანტინეპოლიდან ცნობა 30 სექტემბერს: ნეიტრალურ ზონაში ქემალის ჯარებმა დაიჭირეს მთელი რიგი ახალ მნიშვნელოვან ადგილებისა.

— ქემალ ფაშამ პუანკარეს ნოტის საშუალებით შეატყობინა, რომ მან გასცა ბრძანება კონსტანტინეპოლის და ჩანაკის წინააღმდეგ ყველა სამხედრო ოპერაციების შეჩერების შესახებ, იმ პირობით თუ ოსმალეთს დაუბრუნდება დასავლეთი ფრაკია ადრიანოპოლით.

ანტანტა და გერმანია

ბარტუ—საკონტრიბუციო კომისიის თავმჯდომარე.

ბორდო. 4 ოქტ. ეხო დეპარი ფიქრობს, რომ ბარტუ უარს არ იტყვის საკონტრიბუციო კომისიის თავმჯდომარეობაზე და ამ შემთხვევაში, გაზეთის სიტყვით, ბარტუ მიატოვებს თავის ეხლანდელ პოსტს, ამავე დროს პუანკარე არ მოახდენს არავითარ ცვლილებას თავის კაბინეტში, არამედ მისცემს იუსტიციის პორთფელს მეუმრავლესეთა ერთ-ერთ გამოჩენილ წევრს.

გადადება.

ჰანოვერი. 4 ოქტ. განადგურებულ რაიონების აღდგენის კომისიამ პარიზში თავის სხდომაზე მიიღო ფრანგ დელეგატების წინადადება ბერლინის ხელშეკრულების შემუშავების 8 ოქტომბრისათვის გადადების შესახებ, რადგან კელნში სწარმოებს საფრანგეთის დელეგატების და გერმანიის პროფ. კავშირთა წარმომადგენლების თათბირი. პროექტის თანახმად ეს ხელშეკრულება გაცილებით უფრო ვრცელი იქნება, ვინემ სხვა ყველა წინანდელი ხელშეკრულებები.

რატენაუს მკვლელის პროცესი

ბორდო. 4 ოქტ. რატენაუს მკვლელობაში ბრალი ედებათ 15 კაცს. სასამართლოს სხდომა სწარმოებს სახელმწიფო სასამართლოს თავმჯდომარის გაიერის თავმჯდომარეობით.

ჰანოვერი, 4 ოქტ. ტეშოვის ერთ ერთმა ძმამ, რომელსაც რატენაუს მკვლელობაში ბრალი ედება, განაცხადა, რომ რატენაუ მოკლულ იქნა გაცილებით უფრო ადრე, ვინემ ეს განზრახული იყო.

ჰანოვერი, 4 ოქტ. პროცესზე მოელიან ბევრ სენსაციონურ გამოაშკარავებას.

ბრიუსელის კონფერენციის ვადა.

ჰანოვერი, 4 ოქტ. გაზ. „ტანი" ამბობს, ბრიუსელის კონფერენციის ვადა შეიძლება იქნეს დანიშნული მხოლოდ ამერიკიდან ინგლისის დელეგაციის დაბრუნების შემდეგ. დელეგაცია გაემგზავრება ოქტომბრის შუა რიცხვებში და დაბრუნდება ინგლისში ნოემბრის შუა რიცხვებში. გაზეთი ფიქრობს, რომ ის გადაწყვეტილება, რომელსაც კონფერენცია მიიღებს, უნდა იქნეს გამოტანილი 1922 წლის დამლევამდე, ვინაიდან საკონტრიბუციო კომისიამ 31 დეკემბრამდე უნდა შეიმუშავოს გერმანიის 1923 წლის გადასახადების ცხრილი.

გერმანიის გადასახადები.

ჰანოვერი. 4 ოქტ. ბელგრადიდან მიღებულ ცნობების თანახმად გერმანიის და სამხრეთ სლავიის შორის საკონტრიბუციო საკითხში შეთანხმება იმ შემთხვევაში შეიძლებოდა მომხდარიყო თუ გერმანია გადასცემს სამხრეთ სლავიას ხვედრ. გადასახადების ანგარიშში რკინის გზის მოძრავ შემადგენლობას.

ვივიანის პასუხი.

ჰანოვერი. 4 ოქტ. პრესა აქვეყნებს ვივიანის პასუხს კანცლერ ვირტის უკანასკნელ განცხადებაზე, რომელიც მან გააკეთა ომის დაწყებაში დანაშაულობის საკითხის შესახებ. ვივიანი ამტკიცებს, რომ კანცლერ ვირტის მიერ მოყვანილ საბუთებში, რომლის შესახებ მან, ვივიანმა, არაფერი არ იცის. აშკარაა შეტანილია რამდენიმე „შესწორება". გაზ. „ტაგებლატი" ამის გამო სწერს: „ძალიან საყურადღებოა, რომ ვივიანი ყოველგვარ მნიშვნელობას უკარგავს ვირტის მიერ მოყვანილ საბუთებს, თუმცა, მან მისივე სიტყვით, მათ შესახებ არაფერი არ იცის. საფრანგეთის ყოფილ პრემიერის განმარტება ამტკიცებს იმას, თუ რამდენად უმწეოა ის საშუალება, რომლითაც ანტანტას სურს გამოიყვანოს გერმანია ომის დაწყებაში დამნაშავეთ.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ამხ. ლენინი

მოსკოვი, 4 ოქტომბერი. სახალხო კომისართა საბჭოს გუშინდელი სხდომა ჩატარდა ამხ. ლენინის თავმჯდომარეობით, რომელიც დაუბრუნდა სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის ასრულებას.

მოსკოვის საბჭოს პლენუმზე ამხ. ბოგუსლავსკიმ განაცხადა, რომ ამხ. ლენინი კარგად გამოიყურება.

პრესის მოღვაწეთა შორის.

მოსკოვი. 3 ოქტ. პრესის მომუშავეთა ცენტრალური ბიუროს პლენუმის სხდომაზე ამხ. ბუხარინმა მოხსენებაში პრესის მიზნისა და ახალი პირობების შესახებ განაცხადა: „ჩვენი პრესა გარშემორტყმულია იდეოლოგიურად მოწინააღმდეგე რგოლით. ახალი ეკონომიური პოლიტიკის ნიადაგზე აღმოცენდა მრავალი კერძო გამომცემლობა, რომელმაც შექმნა ბურჟუაზიული იდეოლოგიის გაერთიანებული ფრონტი, ჩვენმა პრესამ უნდა დაიჭიროს წინა რიგი ჩვენ საწინააღმდეგო იდეოლოგიასთან ბრძოლაში. ახალი ეკონომიური პოლიტიკა ახრობს პრესას აგრეთვე ეკონომიურად. პრესის სამეურნეო კრიზისი გრძელდება. პრესა ებრძვის ადგილობრივ საბჭოთა ორგანოების ბიუროკრატიულ

სხვა და სხვა ამბები

გერმანიაში

გაფიცვა.

მოსკოვი. 4 ოქტ. ლეიპციგის და ხემნიცის ხის დამმუშავებელმა გამოაცხადეს გაფიცვა.

გერმენიის პარტიები.

მოსკოვი. 4 ოქტომბ. ლედებურის ჯგუფმა გამოუშვა ფურცელი, რომელშიაც იგი აცხადებს, რომ პარტიის დამოუკიდებლობის დაცვის მიზნით, შედგენილია ახალი პარტია ლედებურის და თეოდორ ლიბკნეხტის მეთაურობით.

სიძვირის წინააღმდეგ.

მოსკოვი. 4 ოქტ. ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების მიერ სიძვირის საწინააღმდეგო დემონსტრაციაში მონაწილეობას ღებულობდა 25.000 კაცი. ქალაქში ორი საათით შესწყდა ტრამვაის მიმოსვლა.

მელითონეთა კონგრესი

ჰანოვერი. 4 ოქტ. მელითონეთა კონგრესი, რომელიც გაიმართა კარლბადში, განიხილა რა მოკავშირეთა და ნეიტრალურ სახელმწიფოების კრიზისი, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გამეფებული უმუშევრობა დამღუპველ გავლენას ახდენს არა მარტო მუშების მდგომარეობაზე, არამედ წარმოების საერთო მდგომარეობაზე.

მცხოვრებთათვის შაქრის მიწოდება

ჰანოვერი. 4 ოქტ. ორშაბათს რეიხსტაგმა დაამტკიცა კანონ-პროექტი, რომლის თანახმად გერმანიის ყველა შაქრის ქარხნები ირთდებიან იმ ანგარიშით, რომ [illegible] მოქალაქეს თვეში მიეცეს 2 ნახ. გირ. შაქარი.

შეიდემანელების შორის

ჰანოვერი. 4 ოქტ. გერმანიის ესდეკების გაერთიანებულმა პარტიამ პროტესტი განაცხადა ხორბლეულზე გადასახადების გადიდების წინააღმდეგ, რასაც ენერგიულად მოითხოვდა სასურსათო მინისტრი.

მადლობის გამოცხადება

ჰანოვერი. 4 ოქტ. ლონდონიდან მიღებულ ცნობების თანახმად გერმანიის მთავრობამ მადლობა გამოუცხადა ინგლისის გემის საკომანდო შემადგენლობას, რომელმაც ენერგიული დახმარება გაუწია გერმანიის ჩაძირულ გემს „გამონიას".

შვეციის მელითონეთა ყრილობაზე

მოსკოვი. 4 ოქტ. შვეციის მელითონეთა ყრილობამ გამართა რუსეთის დელეგატების საპატივცემულოდ დღესასწაული, რომლის დროსაც სიტყვები წარმოსთქვეს რუსმა და შვეციელ ამხანაგებმა.

შორეულ აღმოსავლეთში

მოსკოვი. 4 ოქტ. ჩიტიდან 30 სექტემბრის თარიღით იტყობინებიან: იაპონიის გარეშე საქმეთა მინისტრმა გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიაც აღნიშნულია, რომ მიუხედავად ჩან-ჩუნის კონფერენციის ჩაშლისა იაპონიის ჯარები მოახდენენ ვლადივოსტოკის ევაკუაციას ოქტომბრის დამლევამდე.

პოლონეთში

პოლონეთის ვალები.

ვარშავა. პოლონეთის ფინანსთა მინისტრმა გამოსცა ე. წ. „მწვანე წიგნი", რომელშიაც სხვათა შორის ჩამოთვლილია პოლონეთის ვალები სხვა და სხვა სახელმწიფოებისაგან აღებული.

ამერიკის მართებს—184,457 ათასი დოლლარი, საფრანგეთის 783,858,4 ათასი ფრანკი, ინგლისის 4,374,8 ათასი გირ. სტერლ. იტალიის 17428,2 ათასი ლირა, მისივე 36325,5 ათას. ფრ. ოქრ. მისივე 1259,6 ფრანკი. ჰოლანდიის 18218,7- ჰოლანდ. ფლორ. ნორვეგიის 16497,4 ათასი—ნორვეგიის კრონი, დანიის 358,8 ათასი—დანიის კრონი. შვეციის 173,0 ათასი კრონ. შვეიცარიის 73,6 ათასი—შვეიც. ფრან. და სულ 283879,6 ათასი დოლარი.

ჩეხოსლოვაკიაში

ბრძოლა კომუნიზმის წინააღმდეგ ჩეხოსლოვაკიაში.

ბერლინი. გაზ. „როტე ფანე" იტყობინება: ჩეხოსლოვაკიის სოციალისტები უკანასკნელ დროში ყოველ ძალღონეს ხმარობენ, რათა აიძულონ მთავრობა, დამალოს კომუნისტური პარტია. ნაწილობრივ უკვე მიაღწიეს შემდეგს: მიხალოვიჩის რაიონში ადგილობრივ ლანდრატის განკარგულებით დაშლილია კომუნისტური ორგანიზაციები, კომუნისტურ ახალგაზრდობის ორგანიზაცია, სოფლის მუშების კავშირი და მუშათა სეკრეტარიატი.

საბჭოთა საქართველოში

ბათუმი

„არკოსის" ბათუმის განყოფილებამ დასდო ხელშეკრულება ინგლისში 3 მილ. ფუთი ნავთის გაყიდვის შესახებ. ბათუმში ახლო მომავალში მოვა ორი გემი ტექნიკური საქონელით, რომელიც შეისყიდა „არკოსმა" ლონდონში ნავთის ამოღების საჭიროებისათვის. 30 სექტემბერს უკვე წავიდა ინგლისში ბელგიის გემი „სინოკსი", ზეთის მნიშვნელოვანი ტვირთით.

ხანძარი თამბაქოს ფაბრიკაში.

2 ოქტომბერს, ღამით გამოჩნდა ცეცხლი სახელმწიფო მეორე ფაბრიკის საწყობში. დაიწვა 1,000 ფუთი ფოთოლი თამბაქო, სწარმოებს გამოძიება.

დაწვრილებითი ცნობები გემი „აჭარისტანი"-ს ავარიის შესახებ.

ბათუმში მიღებულია გემი „აჭარისტანის" ავარიის დაწვრილებითი ცნობები. გემი მოდიოდა ნოვოროსიისკიდან ბათუმში. ის უნდა შესულიყო ტუაპსეში დამატებითი ტვირთის მისაღებად. ტუაპსეში „აჭარისტანი" მივიდა ღამის 12 საათზე. ზღვაზე იყო ძლიერი ქარი, ღამით ძლიერ ბნელოდა. ტუაპსის ნავთსადგურში ცეცხლი სიგნალისათვის არ იყო ანთებული. ნავთსადგურის მოსამსახურეების ოქმით მათ ნავთი გაუთავდათ და ამიტომ ვერ აანთეს ლამპები. უჩვეულო ბნელში, უნდოდა რა ტუაპსეში შესვლა, „აჭარისტანმა" ვერ აიღო სწორი მიმართულობა და ვერ მიაგნო ნავთსადგურის შესასვლელი, ხოლო ძლიერი გაქანებით დაეჯახა ქვას, რომელიც ჰყოფდა ნავთსადგურს ღია ზღვისაგან. ძლიერი და დაჯახების გამო ქვებმა დაახიანა „აჭარისტანი" გახვრიტა ის, ზვირთები შეიჭრა გემის ტრიუმში. მაშინ კაპიტანმა სწრაფად დაიხია უკან და აღმოაჩინა რა ნავთსადგურში შესასვლელი, სწრაფად გაექანა ნავთსადგურისაკენ. მაგრამ ნავთსადგურში უზომოდ ბნელოდა და „აჭარისტანს" მოუვიდა ახალი ავარია. ნაპირიდან 20 საჟენის მოშორებით ის კვლავ დაეჯახა მეჩხერს, და მიიღო ახალი ზიანი. მის სიგნალზე დახმარებისათვის მივიდა ბოლოს კატერი და ჩაიბარა მგზავრები და მოსამსახურეები. გემთან, რომელიც უკვე ჩაეშვა შუამდე წყალში მივიდენ ორთავე მხარიდან „ბარკეზი" და გაიტანეს მყუდრო ადგილზე. ორი ავარიით ძლიერ დაზიანდა „აჭარისტან" ი.

ტუაპსის ნავთსადგურში არ მოიპოვება სათანადო ტექნიკური მოწყობილობა გემის შესაკეთებლად.

გემის შეკეთება შეიძლება მოხდეს მხოლოდ ნოვოროსიისკში ან სხვა მსხვილ ნავთსადგურში.

სტამბების კონცენტრაცია.

პოლიგრაფიულმა განყოფილებამ დაამთავრა სტამბების კონცენტრაცია ერთ შენობაში. ყველა სტამბები ადგილობრივ პრესისა ამჟამად მოთავსებულია ყოფ. საბაევის პასაჟის შენობაში. აქ იბეჭდება შემდეგი გაზეთები: რუსული—„ტრუდოვოი ბატუმ", ქართული—„ბრძოლა", ოსმალური — „ენიხაიტ", ბერძნული—„კომუნისტი" და გაზეთი მეზღვაურებისათვის რუსულ, ფრანგულ, და ინგლისურ ენებზე—„მაიაკ".

სტამბა მოთავსებულია ნათელ და ფართო შენობაში, ჰაერი საკმაოა. აქ მუშაობს 6 მანქანა და 3 ამერიკანკა. მუშების რიცხვი უდრის 70 კაცს.

სასურსათო გადასახადის კამპანია

სულ რამდენია აკრეფილი?

სახალხო სასურსათო კომისარიატის ოფიციალურ დოკუმენტალურ ცნობით ოქტომბრის 3-სთვის აღმოსავლეთ საქართველოში ხორბლეულის ერთეულით აკრეფილია 328,153 ფუთი, ანუ 56,4 პროცენტი აღმოსავლეთ საქართველოს ყველა ათ მაზრაზე შეწერილ გადასახადისა.

რა პროდუქტებია შეგროვილი?

შეგროვილია შემდეგი პროდუქტები: ხორბალი—278.238 ფ., ქერი—14.639 ფ., სიმინდი—947 ფ., ჭვავი—2.323 ფ., ფეტვი—401 ფ., ქერდიკა—361 ფ., კართოფილი—3.279 ფ., ლობიო—8082 ფ., კარაქი—5 ფ., მატყლი—268 ფ., ხორცი—2.671 ფ. და ფულად—1.217.152.000 მან.

ახალქალაქის მაზრა.

ახალქალაქის მაზრა უმთავრესად მთაგორიანი ადგილია და მოსავალი აქ გვიან მოდის: დაახლოვებით აგვისტოს ბოლო რიცხვებისა და სექტემბრის დასაწყისისთვის, როდესაც იწყება კიდეც მოსავლის დაბინავება. ვინაიდან მოსავალი აქ ასე გვიან მოდის, სამაზრო საგადასახადო სამეულს საკმარისი დრო დარჩა წინასწარ საორგანიზაციო მუშაობის შესასრულებლად. უწინარეს ყოვლისა სამეულმა მაზრაში დაგზავნა პასუხისმგებელი მომუშავენი ნატურგადასახადის სასარგებლოდ აგიტაციის საწარმოებლად.

მაზრაზე შეწერილი გადასახადი თავის დროზე და სწორედ იქნა განაწილებული ყველა 18 თემზე. ასევე განაწილდა ეს გადასახადი სოფლებზე და გადამხდელთა შორის. ამ განაწილების დროს სამაზრო სამეულმა მხედველობაში მიიღო სათემო აღმასკომთა მოუმზადებლობა სასურსათო გადასახადის საქმეში და ყველა თემში გამოცდილი ხელმძღვანელი გაგზავნა. ამ რიგად მთელ რიგ მიღებულ ზომების წყალობით სასურსათო გადასახადის საქმე ჩაყენებულ იქნა წესიერ კალაპოტში. სოფლებზე გადასახადის გასანაწილებლად დაწესებული იყო სამი კატეგორია. პირველ კატეგორიის სოფელში ერთს დესეტინა დათესილი მიწას უწევს გადასახდელად 4 ფ. ხორბალი, მეორეს—3 ფუთი და მესამეს—2 ფუთი. განაწილების დროს რაიმე გაუგებრობა არა ყოფილა, არც საჩივრები შემოსულა.

გადასახადის განაწილების შემდეგ ზოგიერთ ადგილას სეტყვამ დიდი ზიანი მიაყენა ნათესებს. ამას გარდა საქონლის ჭირმა დიდ ძალ პირუტყვს მუსრი გაავლო, ამიტომ საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ თანახმად ახალ-ქალაქის სამაზრო სამეულის შუამდგომლობისა ამ მაზრაზე შეწერილი გადასახადი—40.000 ფ. ხორბალი—4.000 ფუთით შეამცირა. მაშასადამე ამ მაზრამ წელს უნდა გადაიხადოს 36.000 ფ. ხორბალი.

გადასახადის შესაგროვებლად მაზრაში რამდენიმე მოძრავი მიმღებ-შემნახველი პუნქტია. ვინაიდან წელს საერთოდ საშუალოზე უკეთესია მოსავალი და ხალხის განწყობილებაც კარგია ნატურ გადასახადისადმი, უნდა ვიფიქროთ, რომ წრევანდელი სასურსათო გადასახადი აკრეფილ იქნება სრულიად.

მაზრის ადგილ მდებარეობა, აგრეთვე ის გარემოება, რომ მაზრის სხვადასხვა ადგილას სხვა და სხვა დროს ხდება მოსავლის დაბინავება, საშუალებას აძლევს სამაზრო საგადასახადო სამეულს, რომ მოსამსახურეთა სულ მცირე შტატი იყოლიოს, რომელიც ჯერ ერთს რაიონში დაამთავრებს საქმეს და შემდეგ თანდათანობით მეორე რაიონებში გადაინაცვლებს.

მაზრის დაბლობ ადგილებში ნატურ-გადასახადის შეგროვება ფაქტიურად დაიწყო სექტემბრის 1-დან, ხოლო მთაგორიან ადგილებში—სექტემბრის 15-დან. მოსახლეობა აბარებს სუფთა და მეტად კარგი ღირსების მარცვლეულს.

მიუხედავად იმისა, რომ ამ მაზრაში გადასახადის აკრეფა მხოლოდ ახლა დაიწყო, სახალხო სასურსათო კომისარიატის ოფიციალურ დოკუმენტალურ ცნობებით სექტემბრის 29 სთვის აკრეფილია ხორბლეულის ერთეულით 7.587 ფუთი.

ახალციხის მაზრა.

სახალხო სასურსათო კომისარიატის ინსტრუქტორი ამხ. პლაქსინა შემდეგ ნაირად გვისურათებს თავის მოხსენებაში ნატურ-გადასახადის კამპანიის მსვლელობას ახალციხის მაზრაში:

წინასწარი საორგანიზაციო მუშაობა თავის დროზე იქნა დაწყებული და თავის დროზედვე დასრულდა. ყველაზე ადრე საბოლოო სიები აწყურისა და ვალეის თემმა წარუდგინა სამაზრო სამეულს. მათ მიჰბაძეს სხვებმაც და აგვისტოს ბოლოსთვის უკვე ყველა თემს ჰქონდა წარდგენილი სიები სამაზრო სამეულში. თვითეული სია სამაზრო საგადასახადო სამეულის მიერ განხილულ იქნა მეტად ზედმიწევნით და გულმოდგინეთ. როგორც შემდეგ გამოირკვა, ეს აუცილებლად საჭირო იყო, ვინაიდან მრავალი სია შედგენილი იყო არაწესიერად და მას მრავალი და სხვადასხვაგვარი დეფექტი ჰქონდა. ზოგ სიაში ღარიბნი ცალკე არ გამოეყოთ და ისინი მოქცეულნი იყვნენ გადამხდელთა სიებში. ასეთ შემთხვევებში სამეული ან შლიდა ღარიბებს, ან ამ სიებს უკან უბრუნებდა შესასწორებლად. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ თუ ეს სიები ასე გულდასმით არ განეხილა სამაზრო სამეულს, შემდეგში მრავალ გაუგებრობას, საჩივარს და ბოროტმოქმედებას ბოლო არ ექნებოდა.

იმ გარემოებამ, რომ ხალხს გადასახადის თვითგანაწილების უფლება მიეცა, კარგი ნაყოფი გამოიღო: პირველი ის, რომ გადასახადი განაწილებულია სამართლიანად, მეორე ის, რომ ამ უფლების მინიჭებამ ხალხში გამოიწვია კეთილი განწყობილება ნატურ გადასახადისადმი, მესამე ის, ხელს უწყობს სოფლის დანაწილებას და მეოთხე—ხალხი ეჩვევა თვითმოქმედებას, საკუთარ საქმეების გაძღოლას, იძენს გამოცდილებას და სხვა.

ახალციხის მაზრაში კოოპერაცია სრულიად არ არის, ამიტომ სამაზრო სასურსათო კომიტეტს მოწყობილი აქვს საკუთარი აპარატი. მაზრაში 6 მიმღებ-შემნახველი პუნქტია. ამათში 4 დროებითია, ხოლო ორი—მთელი წლის განმავლობაში მოქმედებს. ყველა პუნქტს აქვს საკუთარი მოწყობილი შენობა, საადარიგო ბეღლები. ინვენტარი და სხვა. პუნქტებში თავის დროზე არის დარიგებული ტომრები, ყუთები, ბიდონები და სხვა.

მარცვლეული შემოდის უმთავრესად სუფთა და კარგი ხარისხისა.

შარშანდელ (1921 წლის) ნატურ-გადასახადის ნარჩენის ანგარიშში შემოდის შინაური საქონელი, უმთავრესად ცხვარი, რომლის მისაღებად ახალციხეში საგანგებოდ მოწყობილია ბაკი. აქედან საქონელს გზავნიან აწყურის რაიონში სამაზრო სასურსათო კომიტეტის საბალახოებზე. ამ ჟამად სამაზრო კომიტეტს ჰყავს 76 მსხვილფეხა საქონელი და 483 სული ცხვარი. საქონელს გარდა ნარჩენის ანგარიშში კარაქიც გროვდება.

ნარჩენის შეგროვება სწარმოებდა მთელი გაზაფხულის განმავლობაში, აგრეთვე ივლისში და აგვისტოში, გრძელდება ახლაც.

წრევანდელ სასურსათო გადასახადის კამპანიის წინასწარი საორგანიზაციო მუშაობა ივლისში დასრულდა და გადასახადის შეგროვება ფაქტიურად დაიწყო აგვისტოს 14-ს. პირველი გადასახადი შემოვიდა ვალეის თემიდან, რომელიც მოზრდილი რაიონია და სადაც მოსავალი ადრე მოდის. გადასახადის პირველი პარტია—2.000 ფუთი. გლეხებმა თავისივე ურმებით ზეიმით და წითელ დროშებით პირდაპირ ბაკ-საწყობში მიიტანეს. ქალაქში მათი მისვლისას მიტინგი გაიმართა და საერთოდ ახალციხემ სადღესასწაულო ელფერი მიიღო. ამის შემდეგ მუშაობა გაცხოველდა სხვა თემებშიც და დღემდი იგი დიდის წარმატებით მიმდინარეობს. არის სრული იმედი, რომ გადასახადი წელს აკრეფილი იქნება სრულად. წელს მაზრას შეწერილი ჰქონდა 60.000 ფუთი ხორბალი, მაგრამ რადგანაც ამ მაზრის ზოგიერთ რაიონს სტიქიურმა უბედურებამ ზარალი მიაყენა, საქართველოს სახალხო სასურსათო კომისართა საბჭომ ეს გადასახადი 5.000 ფუთით შეუმცირა.

სახალხო სასურსათო კომისარიატის ოფიციალურ დოკუმენტალურ ცნობით სექტემბრის 29 სთვის ხორბლეულის ერთეულით აკრეფილია 32.326 ფუთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა 8

ქრონიკა

✦ **კამოს სახელობის ბავშთა სახლის ფონდი.** ქალაქის აღმასკომის სალაროში შემოვიდა შემდეგი შემოწირულებანი ამხ. კამოს სახელობის ბავშთა სახლის ფონდში: ვარვარა ადამსკისაგან 200,000 მან. კოლოფ. საბ. ქარხ. მუშებისაგან 8,500,000 მ. სახ. ბანკის მოსამსახურეთაგან 5,725,000 მან. პურის ქარხნ. მუშების 3.695,000 მან. სულ 18,120,000 მან.

✦ **პოლიტ. განათლების მთავ. სამმართველოს ახალი დადგენილება.** პოლიტ. გან. მთ. სამმართველოს დადგენილებით ორგანიზაციები და კერძო პირები, რომლებიც მართავენ წარმოდგენებს, კონცერტებს, ლექციებს, მოხსენებებს და სხვ. უნდა აიღონ ნებართვა პოლიტიკურ განათლების მთავარ მმართველობაში. ამის დამრღვევნი იქნებიან პასუხისგებაში მიცემულნი.

✦ **ბრძოლა ვენერიულ სენის წინააღმდეგ.** ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმმა გადასცა ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილებას 50 მილიონი მანეთი ვენერიულ სენის წინააღმდეგ საბრძოლველად.

✦ **სასწრაფო დახმარების შენობის შეკეთება.** ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით სააღმშენებლო განყოფილებას დაევალა შეაკეთოს შენობა, რომელიც უჭირავს სასწრაფო დახმარებას.

✦ **გრიგალი სად. სუფსაში.** ოზურგეთიდან იტყობინებიან: რომ 22 სექტემბერს დღის 3 საათზე სად. სუფსაში ძლიერმა გრიგალმა გაანადგურა ბევრი საცხოვრებელი შენობა, სასიმინდე და მცენარეულობა.—ამავე დღეს საღამოს 6 საათზე გრიგალი განმეორდა, მდინარე სუფსა ნაპირებიდან გადმოვიდა, მაგრამ დიდი ზიანი არ მიუყენებია.

ხელოვნება

— **დრამატიული სტუდიის გახსნა.** სამშაბათს, 3 ოქტომბერს, რუსთაველის თეატრის სარკის დარბაზში გაიხსნა აკაკი ფალავას ხელმძღვანელობით არსებული დრამატიული სტუდია. სტუდიის საზეიმო გახსნას დაესწრენ სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებების და ხელოვნების წარმომადგენელნი. აკაკი ფალავამ მოკლე სიტყვით გახსნა ზეიმი, რის შემდეგ მისასალმებელი და საერთოდ თეატრის შესახებ წარმოსთქვეს სიტყვები: კ. მარჯანიშვილმა, მ. ქორელმა, ახმეტელმა, ტიციან ტაბიძემ, გამსახურდიამ და სხ. სტუდიის საზეიმო გახსნის შემდეგ გაიმართა პიკნიკი, რის დროსაც სტუდიელებმა წაიკითხეს ლექციები და მონოლოგები. სტუდიის გახსნას აგრეთვე დაესწრენ პრესის წარმომადგენელნი. ბოლოს სტუდიელების სახელით სადღეობელი სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას სტუდიელმა აკაკი ხორავამ.

— **ბლიუმენტალ-ტამარინის საღამო.** დღეს სოვპროფის დიდ დარბაზში, გაიმართება ბლიუმენტალ-ტამარინის გამოსათხოვარი საღამო. საღამოზე მონაწილეობას ღებულობენ: თამარ წერეთელი, ვოლხოვსკაია და ა. ორლოვა.

დღეს თეატრებში.

— სახალხო სახლი — კონცერტი მურატოვის მონაწილეობით დამშეულთა სასარგებლოთ.

— სოვპროფის კლუბი—გამოსათხოვარი საღამო ბლიუმენტალ-ტამარინის.

— კონსერვატორია—კონცერტი.

— მუშათა ცენტრალური კლუბი—წარმოდგენა.

— ახალი თეატრი ც. მ. კ.—კინო.

— ცირკი—მრავალფეროვანი პროგრამა.

პარტიული ცხოვრება

ქ. თბილისის კომუნალური მეურნეობა

(ტეზისები).

1. თფილისის მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭო არის პროლეტარული ხელისუფლების ორგანო. ქალაქის მეურნეობის აღდგენის მუშაობას იგი აწარმოებს არა ერთი მუჭა ხალხის მეპატრონეთა და ქალაქის მცხოვრებთა შეძლებულ წრეების ინტერესების მიხედვით, რასაც სჩადიოდენ ყველა ცენზიანი ქალაქის საბჭოები, არამედ იგი ემსახურება მშრომელთა ინტერესებს.

2. მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტატების 2-ე საბჭოს არჩევნების დროს ქ. თფილისის მშრომელებმა, გაიცნეს რა პირველი საბჭოს წინამორბედი მუშაობა, მოიწონეს იგი, და აირჩიეს რა ხელახლა კომუნისტები, დაავალეს მათ განეგრძოთ ქ. თფილისის კომუნალური მეურნეობის აღდგენა.

3. განსაკუთრებულ ნაკაზით, რომელიც მიღებული იქნა ყველა საარჩევნო კრებებზე, თბილისის მშრომელებმა დაავალეს ახალ საბჭოს „ყოველი ძალღონით განეგრძო და დაემთავრებია ბრძოლა დაშლილობისა და კრიზისის წინააღმდეგ, რომელ ბრძოლაც ასე მოხერხებულად დაიწყო წინანდელმა საბჭომ". არ კმაყოფილდება რა, ზოგადი ხასიათის დავალებებით არჩევნების დროს, თბილისის მუშები მუდამ თვალყურს უნდა ადევნებდენ თავის წარმომადგენლობის მუშაობას, იცოდენ რა არის გაკეთებული და რა დაბრკოლებები არის კიდევ დასაძლევი.

საერთოდ ცნობები თბილისის კომუნალურ მეურნეობის მთავარ დარგების მდგომარეობის შესახებ, შემდეგია:

4. ქალაქის მეურნეობაში ერთი მთავარი ადგილი უჭირავს წყალსადენს. ავჭალის წყალსადენი დიდიხანია აღარ აკმაყოფილებს ქალაქის საჭიროებებს, მისი მექანიკური მოწყობილობა, რომელიც 23 წლის განმავლობაში მუშაობს, გაცვთა და დაძველდა, წყალსადენის ქსელი, განსაკუთრებით სახლებში, დვრის წყალის დიდ რაოდენობას, წყალსაზომები უმეტეს შემთხვევაში აღარ მუშაობენ. მიუხედავად ყველა ამ ნაკლოვანებებისა, ხერხდება წყალსადენის მუშაობის დიდი დაძაბვით განგრძობა და წყლის მიწოდება მცხოვრებთათვის, რომელიც უკანასკნელ წლებში ორჯერ გაიზარდა.

1914 წელში მცხოვრებთა თითო სულზე მოდიოდა 2,76 ვედრო წყალი, 1921—2,56 ვედრო, ხოლო 1922 წლის პირველ ნახევარში 2,86 ვედრო. წყალსადენის მეურნეობა არა თუ არ შეწყვეტილა, არამედ დღითი დღე უმჯობესდება. ასე მაგ. 1922 წლის იანვარში წყალის დაღვრის პროცენტი უდრიდა 26,4, და ივნისში კი—22, 9 %.

წყალსადენის წესიერი მუშაობის მთავარი პირობა არის წყალის გადასახადის წესიერი და თავის დროზე მიღება. და თუმცა ამ მხრივ ცოტაოდენი გაუმჯობესება ემჩნევა (იანვარის ნარჩენი უდრის 5, 6 მილიარდს, ხოლო ივლისისა—3, 2, მილიარდს, მაგრამ მაინც წყალის 23 პროც. გადახდილია და 77 პროც. იხარჯება ნისიათ, და ამავე დროს მთავარ მოვალეები არიან კავკასიის ცალკე არმია და სახელმწიფო დაწესებულებები ფინანსიური საკითხის მოწესრიგება წყალსადენის საქმეში, არის ამ ჟამად მთავარი და პირველ ხარისხოვანი ამოცანა.

5. ქალაქის მეურნეობის შემდეგი დარგი არის ტრამვაი. ტრამვაი აშენებულია 1904 წელს, გადავიდა ქალაქის გამგეობაში 1913 წ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროს ტრამვაის მეურნეობა ისეთნაირად დაეცა, რომ 105 მატორიან ვაგონებიდან ასე თუ ისე წესიერად შეეძლო მუშაობა სულ 18 ვაგონს.

მეურნეობის აღსადგენად წარმოებულმა ენერგიულმა მუშაობამ უკვე თვალსაჩინო შედეგები მოგვცა. 1922 წლის პირველ ნახევარში გადაყვანილია ტრამვაით 4 მილიონი მგზავრი, 54,000 ით მეტი ვიდრე 1921 წლის იმავე პერიოდში. ტრამვაის საქმის მოწესრიგების შესახებ, შეგვიძლია ვიქონიოთ მსჯელობა იქიდან, რომ ა. წ. აპრილიდან თანდათან მატულობს ვაგონი—დღეების და გადაყვანილ მგზავრების რიცხვი. იანვარში გადაყვანილია 740,000 მგზავრი, მარტში—360 (დაქვეითება აიხსნება სამგზავრო ფასის დაწესებაში მერყეობით) 1 მაისში—850,000 დ. ივნისში 650.000. ვაგონ. დღეები 1922 წლ. იანვარში იყო—836, მარტში—754, მაისში—978 და ივნისში—1012. ამ ჟამად მუშაობს 30 მატორიანი ვაგონი, რეზერვში—8 და მიმდინარე რემონტში—34. ტრამვაი დღეს თითქმის თავისავე შემოსავალით ფარავს თავის ხარჯებს, დღიური შემოსავალი უდრის 200 მილიონს, ხოლო ხარჯები—180 მილიონს.

6. ქალაქის ელექტრონით განათების საქმე ძალიან მძიმე მდგომარეობაში იმყოფება. ქალაქს ეკუთვნის 16 ელექტრონის სადგური, აქედან მუშაობს 13. მაგრამ ყველა სადგურები იმდენად არიან დაზიანებული, რომ მათი ამუშავებისათვის საჭიროა ყველა ძალების და საშუალებების დაძაბვა. სადგურის საერთო ძალა გადიდდა 1600 ცხენის ძალიდან რომელიც იყო იანვარიდან 1900 ცხენის ძალამდე ივნისში.

ჯერ-ჯერობით ვერ მოხდა მოწესრიგება ელექტრონის ენერგიის გადასახადის საკითხისა და 1922 წ. პირველი ნახევრის ნარჩენი უდრის 8 მილიარდ მანეთს. ამიტომაც არის, რომ ელექტრონის სადგურები იძლევიან ყოველ დღიურ დეფიციტს 35 მილიონ მანეთს.

ქალაქის განათების საკითხის რადიკალურად გადაჭრა იქნება ზემო ავჭალაში ჰიდრო-ელექტრონის სადგურის აშენება, რომელი სადგურის აშენება უკვე დაიწყო.

7 რევოლიუციის წინა პერიოდიდან დარჩენ კიდევ ქალაქის სასაკლაოები, რომელნიც აშენებულნი არიან ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით.

სასაკლაოებთან არის მთელი რიგი ქარხნებისა, როგორც მაგ. საპნის ქარხანა, რომელიც ამზადებს 10 ფუთ საპონს დღეში, ძეხვების ქარხანა—რომელიც ამზადებს დღეში 30 ფუთს, ყინულის ქარხანა (600 ფუთ.), გასაცივებელი კამერები (100 კამერა), საუტილიზაციო ქარხანა. მაგრამ ომის განმავლობაში და მენშევიკების ბატონობის დროს სასაკლაოები სრულიად განადგურდენ. თბილისის საბჭომ მოახერხა რამდენიმედ სასაკლაოების მუშაობის აღდგენა, მოახდინა რა იქ უსაჭიროესი რემონტი.

2 საბჭოს დეპუტატების ამომრჩეველთა ნაკაზში სასაკლაოს საკითხი ცალკე მუხლად იყო შეტანილი. საბჭოს დაევალა გაეფართოვებია ქალაქის სასაკლაოების და მასთან დაკავშირებულ წარმოებათა მუშაობა და შეექმნა ქალაქის ხორცის დუქნები.

აღმასკომის კომუნალური განყოფილება უკვე შეუდგა მცხოვრებთათვის ხორცის მიწოდების საკითხის პრაქტიკულად გადაჭრას ის შედის საგარეო ვაჭრობის კომისარიატთან კონტაქტში, ხორცის დამზადებების ფასით ოპერაციების მოსაწყობად, სპარსეთიდან საქონლის შემოტანით. ამგვარ წარმოებებთან ყველაზე უკეთესი მოწესრიგებულია საპნის სახარშავი ქარხნის მუშაობა, რომლის ნაყოფიერობა 28 ფუთიდან 133 ფუთამდე გაიზარდა ივნისში.

8. ქალაქის წვრილ წარმოებათაგან საჭიროა შევჩერდეთ პირველ ყოვლისა აბანოებზე, რომლის რიცხვი უდრის 10. (7 გოგირდისა და ორთქლის) ქალაქის აბანოები აკმაყოფილებს მხოლოდ მცხოვრებთა 7 პრ. მოთხოვნილების და აქვს მცირე შემოსავალი (1922 წლის პირველ ნახევარში იყო დაახლოვებით 1 მილიარდი მანეთი).

შემდეგ ქალაქი აწარმოებს ქალაქის მიწების ექსპლოატაციას (1200 დესეტ. სახნავი, 1200 დ. სათიბი და 1700 დეს. საძოვარი), სცემს რა მას იჯარით საქმიან საფუძვლებზე და აგრეთვე აწარმოებს საკუთარ მეურნეობას 2 ბაღში (დაახლოვებით 14 დეს.) მანთაშევის და ბარნოვების მამულში.

9. ამგვარად, ქალაქის ყველა მთავარი წარმოებაში აღდგენის გზაზე დგას და მოდის წესრიგში. პირველ ყოვლისა ეს გამოიხატა წარმოებიდან შემოსავლის გაზრდაში, რომლის შემოსავალი 1922 წლის პირველ ნახევარში გაიზარდა 280 პროც.-ით (8,6 მილიარდიდან, რომელიც იყო იანვარში 18,3 მილიარდამდე ივლისში) მაგრამ ამავე დროს კომუნალურ განყოფილების ხარჯებიც გაიზარდა 223 პროც. (5,2 მილიარდ. იანვარში—16,9 მილიარდამდე ივნისში).

ამგვარად ბიუჯეტში საერთო წონასწორება ჯერ კიდევ მიღებული არ არის და ქალაქის წარმოებები ჯერ კიდევ დეფიციტს იძლევიან. მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ხარჯების უდიდესი ნაწილი ხმარდება კაპიტალურ რემონტს და რომ გარდა ამისა, ძალიან გაიზარდა მუშის ხელფასი, ქალაქის მეურნეობის დეფიციტმა არ უნდა გაგვაკვირვოს. ეს ისეთი ხარჯებია, რომელიც უსათუოდ დაიფარება, ვინაიდან იგი ხელს უწყობს მეურნეობის აღორძინებას და შრომის ნაყოფიერების ზრდას.

10. ნამდვილ საშუალებებს თბილისის საბჭო ღებულობს საგადასახადო დაბეგვრიდან. 1922 წლის პირველ ნახევარში საგადასახადო შემოსავალი გაიზარდა 175 პროცენტით, (5,9 მილიარდ მანეთიდან იანვარში 12,6 მილიარდ მანეთამდე ივნისში), დაბეგვრის უმთავრეს ობიექტს წარმოადგენენ მცხოვრებთა ბურჟუაზიული წრეები, მუშა მოსამსახურენი სარგებლობენ მაქსიმალური შეღავათით.

11. საერთოდ აღიარებულია, რომ მუშების ეკონომიური მდგომარეობა ომის წინა დროსთან შედარებით, გაუარესდა. ასე მაგალითად: ბელგიის მუშის საშუალო თვიური ხელფასი 1909 წელს შეადგენდა 28 მანეთს, რომლიდანაც 62 პროცენტს (17,4 მან.) ის ხარჯავდა კვებისათვის, 16 პროცენტს (4,5 მან.)—ტანთსაცმელისათვის და 12 პროცენტს (3,4 მან.) ბინისათვის. ამ ჟამად მუშის (6 კატეგორიის) საშუალო ქირა ყოველგვარი დამატებითი ჯამაგირით შეადგენს დაახლოვებით 5 მილიონ მანეთს, რაც უდრის 45 მან. ოქროთი, ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ ოქროს მანეთის კურსის 40 პროცენტით დაცემას, მაშინ—27 მანეთს, ომამდე არსებულ დროსთან შედარებით თუმცაღა, ბინისათვის მუშები იხდიან ამ ჟამად გაცილებით უფრო ნაკლებ ნაწილს თავისი ხელფასიდან და, კიდევ მეტი, ღებულობენ 5 პროცენტს სპეციალურ ტანთსაცმელისათვის.

თუ გავითვალისწინებთ ამას, მივიღებთ მუშის საშუალო რეალურ ხელფასს—30 მან. 35 კაპ., ესე იგი 8,3 პროცენტით მეტს, ვინემ ომამდე ღებულებდა ბელგიელი მუშა.

თბილისის კომუნალური მუშების სამუშაო ხელფასი წლის დასაწყისში მომატებულ იქნა 64 პროცენტით და წლის პირველი ნახევრის დასასრულს კიდევ 84 პროცენტით.

შრომის ანაზღაურება წარმოადგენს მოსავალის უდიდეს მუხლს და აღწევს მთელ მოსავალის ბიუჯეტის 40 პროცენტს.

12 1922 წლის პირველი ნახევრის ბოლოში თბილისის საბჭომ შესძლო წონასწორობაში მოეყვანა თავისი ბიუჯეტი (ივნისში შემოსავალი უდრიდა 26,8 მილიარდ მანეთს, გასავალი 24,3 მილ. მანეთს) თუმცაღა საერთოდ მთელი ნახევარი წლის განმავლობაში დეფიციტი იყო 2 მილიარდი მანეთი მოსავალის მუხლებიდან წარმოების შემდეგ, რომლებიც ფარავენ ყველა ხარჯების 70 პროცენტს, პირველი ადგილი უჭირავს ზრუნვას სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვისათვის, რომელისთვისაც იხარჯება 18 პროც., მაშინ როცა შინაგან მმართველობის (მილიციის) განყოფილებისათვის—4 პროცენტი მოსავალის საერთო ბიუჯეტიდან.

13. ქალაქი ინახავს 104 შრომის სკოლის 18 საბავშო სახლს და 1 საბავშო კერას.

სკოლებში სწავლობდნენ 26,000 დე ბავშვი, ესე იგი მოწაფეების რიცხვი გაიზარდა 8,000 ით საბავშო დაწესებულებებში იმყოფებოდენ 1,700 ბავშვები (8,000 თვითეულ საბავშო სახლებში და ბაღებში და 100 ბავშვი საბავშო კერაში), მოწაფეების რიცხვი აღის 2,000 დე.

14. დიდი ყურადღება ექცევა სახალხო ჯანმრთელობის დაცვას. რომ არ ვილაპარაკოთ ისეთ რადიკალურ ზომებზე ქალაქის სანიტარულ მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, როგორიცაა საბურთალოს გაშრობა და მადათოვის კუნძულის გაწმენდა, ქალაქის მცხოვრებლებს მიეცა სამკურნალო დახმარება 1922 წლის პირველ ნახევარში შემდეგი სახით: სტაციონალურ ავადმყოფებს—6,900, ახალ ამბულატორიებს—34,000, შებრუნებულებს—53,000.

წასულ წელთან შედარებით საექიმო დახმარება ეძლევა მცხოვრებლებს უფრო ფართოდ, თითქმის ორჯერ მეტად. მაშინ მთელი წლის განმავლობაში იყო: 6,800 სტაციონარული და 45,000 ამბულატორიული (ახალი) ავადმყოფები.

15. ასეთია საერთოდ თბილისის საბჭოს მუშაობის შედეგები 1922 წ. პირველ ნახევარში. ამ მიმოხილვიდან სჩანს, რომ საბჭოსათვის ამომრჩევლების მიერ დავალებული ამოცანები ქალაქის მეურნეობის აღდგენისათვის ტარდება ცხოვრებაში ინტენსიურად და მოხერხებულად.

16. მაგრამ, ქალაქის წარმოებებს კვლავ დეფიციტი აქვთ და არსებობენ გადასახადების ანგარიშზე. ასეთი მდგომარეობა არა ნორმალურია და თბილისის საბჭო აღნიშნავს რა ამას, ყოველივე ძალღონეს ხმარობს იმისათვის, რათა მიაღწიოს არა მარტო წარმოებების მიერ თავის თავის შენახვას, არამედ მათ შემოსავლიანობასაც. ომამდე, წყალსადენი აძლევდა თბილისს 24 პროცენტს წმინდა მოგებისა, (900,000 მან.) სასაკლაოები—41 პროც. (28,000 მან.).

ამ რიგად ორთავე აღნიშნული წარმოებები თავიანთი მოგებით ჰფარავდენ მთელი გასავალის 6 პროცენტს, თითქმის ამდენსავე აძლევდა მთავრობა—ჯარების ბინით დაკმაყოფილებას, სამხედრო დაწესებულებების და ქალაქის პირველდაწყებით სკოლების შენახვას, თუ არ მივათვლით პროცენტების გამორიცხვას სამრეწველოს მოწმობებზე.

და ბოლოს, ომამდე დიდი ქალაქები შედარებით ადვილად იღებდენ სესხს.

17. ამ ჟამად თბილისის ფინანსიური მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმეა. საბჭოთა ცენტრალური ხელისუფლება ქალაქს არაფერს არ აძლევს, სესხი არსებულ მდგომარეობაში განუხორციელებელია, ქალაქის ხელში გადასულ ყველა წარმოებებს სჭირდებათ შეკეთებისათვის უზარმაზარი ხარჯი და მხოლოდ რამოდენიმე ხნის შემდეგ ისინი შემოსავლიანი გახდებიან. ამიტომ საჭირო ხდება შემოსავლის ახალი წყაროს გამონახვა და მუშაობა ისეთ პირობების შესაქმნელად, როდესაც შესაძლებელი იქნება მეურნეობის წესიერად მოწყობა და შემოსავალ-გასავალის ხარჯთ აღრიცხვის მოწესრიგება.

18. თბილისის ქალაქის აღმასკომმა შეიმუშავა 1922 წლის მეორე ნახევრის ბიუჯეტი. საერთო გასავალი ნაანგარიშევია 298 მილიარდი მანეთის რაოდენობისა, გათვალისწინებული დეფიციტი 45,6 მილიარდი მანეთი უნდა დაიფაროს შემდეგი ახალი გადასახადებიდგან: სახკოლო გადასახადი—13 მილიარდი მანეთი, ხორცით მოვაჭრეების ბეგარა—2,5 მილიარდი მანეთი, თავისუფალ ვაჭრობის პირადა ბეგარა—4 მილიარდი მანეთი, საფუთო გადასახადი—4,5 მილიარდი მან.. ამას გარდა, განზრახულია ქალაქის ბაღების შემოსავალის 10,1 მილიარდი მანეთი გადიდება, მიღება მთავრობისაგან მილიციის შესანახად 50 პროც. დახმარებისა 6 მილიარდი მანეთის რაოდენობისა და რკინის გზის სამმართველოსათვის 29 სკოლის დაბრუნება, რაც შეამცირებს გასავალს 5,5 მილიარდი მანეთით.

1920 წლის პირველი ნახევრის გასავალის ხარჯთ აღრიცხვა შეადგენდა 198,8 მილიარდ მანეთს, ფაქტიურად კი არის დახარჯული 105,1 მილიარდი მანეთი, ე. ი. 52,8 პროც. ამ თანხიდან 42,8 პროც. (45 მილიარდი მ.) დაიხარჯა შრომის ხელფასის ანაზღაურებაში. მეორე ნახევარი წლისათვის ხარჯთ აღრიცხვა ნაანგარიშევია 298,7 მილიარდი მანეთის რაოდენობისა, აქედან შრომის ხელფასის ანაზღაურებაში დაიხარჯა 103,6 მილიარდი მანეთი.

19. დასახული ხარჯთ-აღრიცხვის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ შემდეგი პირობების დაცვით:

ა) სამუშაო ხელფასის საკითხის მოწესრიგება იმ მხრივ, რომ ის წესდებოდეს არა დეკრეტების გზით, არამედ თავისუფალ კოლექტიურ ხელშეკრულებებით, შრომის ანაზღაურების შემოსავლის ცალკერ მუხლების აღნიშვნით და ახალი განკვეთების [illegible] ძალის გარეშე.

ბ) სავალდებულო შეტანა კომუნალური სამსახურის და ბინის გადასახადის განურჩევლად ყველ ორგანიზაციისა და კერძო პირთათვის, მათ შორის სამხედრო პირებისთვისაც.

გ) ყველა დაწესებულებების სამეურნეო ანგარიშზე სავსებით გადასვლა, ზედმეტი სამუშაოს გაუქმებით.

20. გაეცნობიან რა არსებულ მდგომარეობას და იმ ზომებს, რომელიც უნდა მიუცილებლად იქნეს მიღებული კომუნალური მეურნეობის განვითარებისათვის, თბილისის მცხოვრებლებმა მთელი თავისი ძალ-ღონე უნდა მოახმარონ ამ ზომების განხორციელებას. ამომრჩეველთა შეგნებული დახმარებით და მუშაობისადმი ინტერესის გამოჩენით თბილისის საბჭო უფრო აქტიურად იმუშავებს ქალაქის მეურნეობის აღდგენისათვის. სამეურნეო ცხოვრების აღდგენა კი არის ერთი უმთავრესი პირობათაგანი საბჭოთა წყობილების განმტკიცებისათვის.

საქართველოს კომ. პარტიის თბილისის კომიტეტის საგიტაციო და პროპაგანდო განყოფილება.

ცენტრალურ კომიტეტში

(გაგრძელება *)

(მუშაობა ივლისსა და აგვისტოში).

მუშაობა ქალთა შორის. ქალთა განყოფილების მთავარი საზრუნავ საქმეს საანგარიშო პერიოდში შეადგენდა არტელების და კურსების ორგანიზაცია. არტელების ორგანიზაციისათვის სახ. კომ. საბჭო, სასურსათო კომისარიატი, მიწად მოქმედების კომისარიატი და ფინანსთა კომისარიატი თითო მათგანი 50 მილიონ მანეთისა და გარდა ამისა სასურსათო კომისარიატმა, გაიღო 10 ნაჭერი მანქანა.

კურსების ორგანიზაციისათვის საჭირო საშუალებათა უქონლობის გამო, გადაწყვეტილ იქნა არსებულ ცენტრალურ პარტსკოლასთან ქალთა განყოფილებას დაეთმოს 50 ადგილი: 25 პირველ საფეხურში და 25 მეორეში. კურსანტ ქალების შერჩევა და გაწვევა უკვე წარმოებს.

პარტიის რაიონულ კომიტეტების გაუქმების შემდეგ—გაუქმებულ იქნა ქალთა შორის მომუშავე რაიონულ ინსტრუქტორის ინსტიტუტი. მაზრასთან დატოვებულია მხოლოდ გამგე და ერთი ან ორი ინსტრუქტორი. გარდა ამისა სამაზრო ინსტრუქტორებს იყენებენ ქალთა განყოფილებების დავალებათა შესასრულებლად. თემის კომიტეტებს და კომიჩეიკებს წინადადება მიეცათ გამოყონ ამხანაგები ქალთა შორის სამუშაოდ. დედობის და ბავშვების დაცვის საკითხის მოსაწესრიგებლად ც. კ. ქალთა განყოფილებამ ორჯერ მოიწვია გაფართოებული თათბირი (ც.

მუშათა ცხოვრება

სამხედრო ჰოსპიტალი

საერთოდ სამხედრო დაწესებულებებში შრომის დაცვის საქმე ძალიან ცუდათ არის დაყენებული. სამხედრო დაწესებულებები უმეტეს შემთხვევაში შრომის კანონებს გვერდს უვლიან თუმცა არსებობს კანონი იმის შესახებ, რომ შრომის კანონი მათზედაც ვრცელდება მაგრამ ისინი არც ამ კანონს აქცევენ ყურადღებას.

სამხედრო ჰოსპიტალში 26 მომვლელი ქალი მსახურებს. ეს შტატი ასეთ დიდ ჰოსპიტალისათვის მეტად მცირეა, მაგრამ შტატის სიმცირეს შტატში მყოფთა გადამეტებული მუშაობით ავსებენ. ამ მომვლელ ქალთა მდგომარეობა ყოველ მხრივ სავალალო და აუტანელია. ისინი ნივთიერათ და უუფლებოდ სადაც გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებიან. მომვლელი ქალები საავადმყოფოში მოდიან სამუშაოთ დილის 8 საათზე და მუშაობენ განუწყვეტლივ მეორე დილის 8 საათამდი. ნათქვამია, მეორე დილის 8 საათამდი, თორემ ისე 10—12 საათამდინაც კი ვერ თავისუფლდებიან. საქმე იმაშია, რომ მათ არ შეუძლიანთ ექიმის ნებადაურთველათ წასვლა. ექიმის ნებართვა კი ხშირად 12 საათზე ადრე არაა, ისინი ვერ წავლენ, თუ პალატები არ დაალაგეს.

სამუშაო მეტად მძიმე ხასიათისაა. მთელი 24 საათის განმავლობაში ფხიზლათ უნდა იყვნენ. მათ არც მოსვენება შეუძლიანთ და არც დაძინება. თუ რომელიმე მომვლელთაგანი ავათ გახდა, მის მაგიერობას ასრულებს სხვა და ამ გვარათ ამ სხვას მოუწევს დაუძინებლათ ყოფნა არა მარტო 24 საათის განმავლობაში, არამედ 48—72 და მეტიც.

აქვს ადგილი ერთ სანიტარულათ მიუღებელ არა ნორმალურ მოვლენასაც. ვენერიულ ავადმყოფთა განყოფილებაში მომუშავე ქალებს არეცხინებენ შარვლეულობას. ეს ყოვლად დაუშვებელია, ვინაიდან ამ გზით ადვილათ შეიძლება სხვაზე ვენერიულ ავადმყოფობის გავრცელება. მომვლელ ქალებს არა აქვთ საკმარისი წინსაფარები და რაც აქვთ ისინიც პუჭყიანია. აქვე მუშაობენ მუშა მამაკაცები, ეგრეთ წოდებული „ნასილჩიკები", ავადმყოფთა გადამყვან გადმომყვანი. ისინიც ისეთივე მდგომარეობაში არიან, როგორც მომვლელი ქალები. საჭიროა მათ მდგომარეობის ჯეროვანი ყურადღება მიექცეს. შრომის კანონი უეჭველად მათზედაც უნდა გავრცელდეს.

მოსიარულე კორესპონდენტი.

ქალაქის აღმასკომში.

უმუშევრობასთან ბრძოლის მიზნით საერთოდ ზედმეტი სამუშაოები მოსპობილია და დაშვებულია კერძოთ საშურ და დროებით ხასიათის სამუშაოზე ზოგიერთი დაწესებულებები არც ამ კანონს და არც უმუშევრობას არავითარ ყურადღებას არ აქცევს და შტატში მყოფთ მუდმივათ ორი კაცის ზედმეტ სამუშაოს ასრულებიებს. კანონზე ასეთი გვერდის ავლა დაწესებულებასაც მეტი უჯდება და უმუშევრების გაძლიერებასაც ხელს უწყობს.

სამწუხაროდ ამას ადგილი აქვს ქალაქის აღმასკომში. აქ ყველა განყოფილებაში წარმოებს ზედმეტი მუშაობა. ეს ზედმეტი სამუშაოები შემოუღიათ ყოველგვარ კანონების დარღვევით. ზედმეტი სამუშაოების ნებართვას იღებენ კავშირისაგან, მაგრამ აქ ასეთი ნებართვა არავისგან არ აუღიათ, ბუღალტერიაში საღამოზე შეუსვენებლათ მუშაობენ 6—7 საათამდი სხვა განყოფილებებში კი ღამის 10—12 საათამდე. მომუშავეებს ძალიან არ უნდათ რომ ზედმეტი სამუშაოები გასწიონ, ვინაიდან იმდენს არაფერს ღებულობენ, რამდენსაც ძალას და ენერგიას კარგავენ, მაგრამ მათ ავალდებულებენ. მომუშავეებმა შრომის კომისარს სუხარუკოვს განუცხადეს, რომ ასეთი მუშაობა თუ შესაძლებელია, მოსპობილ იქნას. ქალაქის აღმასკომს მართებს ამაზე ყურადღების მიქცევა.

ვინმე.

ხაზინაში

ხაზინაში მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობა მეტად მძიმეა. ყოველი მუშა-მოსამსახურე მუშაობს დილის 9 საათიდან საღამოს 5—6 საათამდი. ამ გვარათ მუშაობენ 9 საათს განუწყვეტლივ. ამ ზედმეტ მუშაობისათვის აძლევენ ჯამაგირის 3 პროცენტს, რაც ძალიან უმნიშვნელო ჯამს წარმოადგენს.

კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაში არიან ფულის მთვლელები. იმათ ფულის თვლის შემდეგ ფული ტომრებით გადააქვთ და გადმოაქვთ ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე. მათ არა აქვთ სპეც-ტანისამოსი და ამ გადატან გადმოტანის დროს ხევენ თავის საკუთარ ტანისამოსს. ყოველივე ამას დროით უნდა მიექცეს ყურადღება.

მ—რე.

სამაზრო მილიციის თორნე

ეს თორნე არსებობს ლორის მელიქოვის ქუჩაზე. ის კაცი, რომელსაც წინათ თორნე ეკუთვნოდა, დღეს სამაზრო მილიციის სამეურნეო ნაწილის გამგეა და განაგებს თორნესაც. აქ მუშაობს ორი მუშა. ორივე შრომის ბირჟის გარეშეა მიღებული. სასურველია ხსენებული მუშები დაუყონებლივ იქნებოდენ მოხსნილი. სამაზრო მილიციას შრომის კანონების დასაცავათ მეტი ყურადღების გამოჩენა მართებს.

მ—ლი.

წერილი ტყიბულიდან

მუშებს რომ საანგარიშო წიგნაკები არა აქვთ დარიგებული, ამ ნიადაგზე მრავალი გაუგებრობა ხდება და მრავალ კონფლიქტების გარჩევაში უსარგებლოთ იხარჯება შრომა და ენერგია.

ამას წინათ ტყიბულის რაიონის შრომის კომისარმა ამ გარემოებაზე მიუთითა მაღაროების მართველობას და წინადადება მისცა, შეეძინა ახლათ გამოსული წიგნაკები. მაღაროების მართველობამ უპასუხა, ჩვენ გვაქვს ძველი წიგნაკები და ნება მოგვეცა ის ვიხმაროთო. საქმე იმაშია, რომ ძველი წიგნაკები არაა სრული და მასში არაა შეტანილი მუშის ცხოვრების და მუშაობის მრავალი მხარე. ამიტომ მაღაროების მართველობის წინადადება ყოვლად მიუღებლათ უნდა ჩაითვალოს. ორივე მხარისათვის როგორც მუშებისათვის, ისე მართველობისათვის, სასურველია ამ წიგნაკების დროით შეძენა.

ტყიბულელი.

საქართველოს რკინის გზაზე არსებულ მშრომელთა არტელის 2-რე ყრილობა

27 სექტემბერს თფილისში გაიხსნა, საქართველოს რკინის გზაზედ არსებულ მშრომელთა არტელის „კომუნას" 2-რე ყრილობა.

ყრილობამ აირჩია 7 პირისაგან შემდგარი პრეზიდიუმი.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი კითხვები:

1. საერთაშორისო მდგომარეობა.
2. რკინის გზის პროფკავშირებში შესვლა მთელი არტელისა.
3. არტელის ცენტრალურ გამგეობის მოხსენება.
4. საგამომძიებლო კომისიის მოხსენება.
5. რაიონულ რწმუნებულების მოხსენება.
6. გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.
7. მიმდინარე კითხვები.

პირველ კითხვაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ვალიკო ვაშაკიძემ. მოხსენების დასასრულ ყრილობამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

შექმნილი საერთაშორისო მდგომარეობა ააშკარავებს იმას, რომ ყველა ქვეყნის ბურჟუაზია, გადმოსული შეტევაზე მუშათა კლასის წინააღმდეგ, ახალ უბედურებას უმზადებს მას; მსოფლიო იმპერიალისტები ვერ თავსდებიან თავიანთ საზღვრებში და ცდილობენ მის გაფართოვებას, რის ნაყოფიც არის ოსმალეთ საბერძნეთის მშრომელი ხალხის უმანკო სისხლის ღვრა. მუშათა კლასის ინტერესები ერთია მთელ მსოფლიოში და ამიტომ მუშებმა შეერთებული ძალით ლახვარი უნდა ჩასცენ ყველა ქვეყნის იმპერიალისტებს. მსოფლიო პროლეტარიატის მებრძოლი შტაბი, მე 3 კომუნისტური ინტერნაციონალი თავისი უძლეველი რევოლიუციონური რაზმით,—წითელი ჯარით, რომელმაც დაამარცხა გარეშე და შინაური კონტრრევოლიუცია და ეხლა უტყუარ იმედს იძლევა საერთაშორისო პროლეტარულ, სოციალისტურ რევოლიუციის გამარჯვებისას მთელ მსოფლიოში, შესძლებს ისტორიის მიერ დაკისრებულ უდიდეს მოვალეობის შესრულებას.

გაუმარჯოს კომინტერნს!

გაუმარჯოს ძლევა-მოსილ წითელ არმიას!

მეორე კითხვის შესახებ ყრილობამ ერთხმათ დაადგინა: რკინის გზებზე არსებული მშრომელთა არტელი—„კომუნა"-ს წევრები შევიდენ აუცილებლათ კავშირში იმ პირობების თანახმათ, რაც წამოაყენა რკინის გზის პროფკავშირთა საბჭოს წარმომადგენელმა ამხ. სტეპანოვმა თავის მოხსენებაში.

შემდეგ მოსმენილ იქნა მოხსენებები რაიონებიდან, ცენტრალურ გამგეობისა და საგამომძიებლო-სარევიზიო კომისიისაგან, რამაც სიცოცხლე შეიტანა ყრილობის წევრებში დააინტერესა ყველანი და გამოიწვია გაცხოველებული შეკითხვები და კამათი.

დასასრულ არჩეული იქნა ცენტრალურ გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრები.

ყრილობა ოთხი დღე გაგრძელდა. უნდა ითქვას, რომ ყრილობის მუშაობა ძლიერ ნაყოფიერი იყო. ადგილებზე დაბრუნებული ამხანაგები კიდევ უფრო მტკიცეთ შემოკრბებიან თავიან არტელ „კომუნა"-ში და მისცემენ მის მუშაობას ნამდვილ ამხანაგურ კოლლექტიურ ხასიათს.

ხევსტი.

---

*) იხ. „კომუნისტი" № 227.

ქ., ცაკის, ჯანმრთელობის კომისარიატის, დედობის და ბავშობის დაცვის განყოფილების და ქალთა განყოფილების წარმომადგენლებისაგან. შედგენილ იქნა სათანადო პროექტი და შეტანილი დასამტკიცებლად ცაკის პრეზიდიუმში.

საანგარიშო პერიოდში ც. კ. ქალთა განყოფილებამ დააგზავნა მთელი რიგი ცირკულიარები და თეზისები.

თეზისებიდან დაგზავნილია: 1) საბჭოთა ხელისუფლება და მუშაკი ქალი და 2) საუბარი დამშეულთა დახმარებაზე.

მუშაობა ახალგაზრდობას შორის. ახალგაზრდობას შორის მუშაობას გამოცოცხლება ეტყობა. მისწრაფება კავშირიდან გამოსვლისა სრულიად არ ემჩნევა, პირიქით, არის დიდი ლტოლვა ორგანიზაციისაკენ უპარტიო ახალგაზრდობის მხრით. გაწმენდის შემდეგ ორგანიზაციაში დარჩა დაახლოვებით 8,000 წევრი, ხოლო ამჟამად ითვლება 11 500 პარტიის კავშირი კომ. ახ. კავშირთან ფრიად მჭიდროა. არავითარ გაუგებრობას და უთანხმოებას კომ. ახ. კავშირსა და პარტკომებს შორის არ ჰქონია ადგილი. ხშირად ხდება კომიაჩეიკების თათბირი ახ. კომ. კავშირის იაჩეიკებთან ერთად. კომუნ. ახ. კავშირის ც.-კომიტეტის ადგილებთან კავშირი აქვს მიმდინარე მიწოწერის საშუალებით, ც.-კ. პრეზიდიუმის წევრების მოგზაურობით ადგილებზე და სამაზრო და საოლქო კომიტეტების წევრთა გამოწვევის გზით.

ც. კ. წევრები არიან საოლქო კომიტეტების მდივნებად: აბხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის; სამაზრო კომიტეტების: გორის და ქუთაისის. ტარდება პრინციპი პასუხისმგებელ ამხანაგების მიმაგრებისა კომკავშირის იაჩეიკებზე. მუშათა რაიონები გაძლიერებულია ახალი მუშაკებით. საგრძნობია მომზადებულ და პოპულიარულ აგიტატორების ნაკლებობა. არის მისწრაფება საკავშირო მუშაობიდან განთავისუფლებისა სწავლის გასაგრძელებლად. კომ. ახ. კავშირის ც. კ. პრეზიდიუმის დადგენილებით, სწავლის გასაგრძელებლად განთავისუფლებულია ც. კ. შემდეგი წევრები: ოკუჯავა, ტერ-აკოპოვი, ხაცკევიჩი, ოკოევი.

წარმოებს მუშაობა ყველა ეროვნულ უმცირესობათა შორის, ნემეცების გამოკლებით მუშაკების უყოლობის გამო. გატარდა კამპანია საკამანდო კურსებზე შესვლის შესახებ. აგვისტოს განმავლობაში ყველა მაზრებსა და ოლქებში ჩატარდა კონფერენციები.

ქ. ა. კ. წევრების იდეიური აღზრდა ხდება პოლიტანბანის სკოლებში, რომელთა რიცხვმა საანგარიშო პერიოდში მიაღწია 36 ს, ამ სკოლებს ხელმძღვანელობენ და უვლიან პარტიის და ქ. ა. კ. ძალები. ცენტრალურ პარტსკოლასთან არსებობს ახალგაზრდათა სექცია, რომელშიც კურსის ხანგრძლივობა უდრის 3 თვეს.

ც. კ. საიგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებასთან, აგრეთვე პროფსაბჭოს კულტ-განყოფილებასთან და განათლების განყოფილებასთან კავშირი მოგვარებულია. თბილისის ორგანიზაციის გამოკლებით, საკლუბო მუშაობა შესუსტდა საჭირო საშუალებათა უქონლობის გამო. უცოდინარობის ლიკვიდაცია წარმოებს მხოლოდ იმ ადგილებში. სადაც საკუთარი საშუალებები გააჩნიათ, ხოლო სადაც ასეთი არ არის, მუშაობა შეჩერებულია. ქ. ა. კ. ც. კომიტეტთან არის ბეჭდვითი საქმის ქვეგანყოფილება. რომელიც სცემს ორკვირეულ გაზეთს ქართულ ენაზედ „სპარტაკი" და ყოველკვირეულად „კომუნისტში" „ახალგაზრდობის ფურცელს". ასეთ „ფურცლებს" სცემენ აგრეთვე პროვინციალურ გაზეთებში (ქუთაისი, ოზურგეთი, ბათომი).

მუშაობა ტრანსპორტზე. რკინის გზის ხაზზე საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში არის 30 იაჩეიკა, მათში წევრთა და კანდიდატთა რიცხვი უდრის 271, გარდა ამისა არსებობს თანამგრძნობათა 3 იაჩეიკა, 30 წევრის შემადგენლობით აქ არ შედის სად. თბილისი მთავარ სახელოსნოებით და დეპოთი, სადაც მუშაობას აწარმოებს თბ. ქ. 1-ლი რაიკომი. განსაკუთრებით ინტენსიური მუშაობა წარმოებს სად. ფოთის, სამტრედიის, ქუთაისის იაჩეიკებში და ჭიათურის ხაზზე. მომზადებაც ამხანაგების საკმაო რიცხვის უყოლობის, პარტიულ ლიტერატურის ნაკლებობის და ზოგჯერ თვით იაჩეიკის წევრების მცირერიცხოვანობის გამო მუშაობა ფერხდება და არ მიმდინარეობს საკმაო ტემპით ბათომის, სუფსა-ქობულეთის სადგურებზე, აგრეთვე კახეთის და ტყიბულის ხაზებზე.

სამაზრო და საოლქო კომიტეტის მიერ გამოყოფილია თითო მუშაკი და მიმაგრებული ადგილობრივი ტრანსპორტზე თავის მაზრის ან ოლქის ფარგლებში. ც. კ. სატრანსპორტო ქვეგანყოფილებასთან არის ორი ინსტრუქტორი, რომელნიც აწარმოებენ გზის ხაზის რეგულიარულ მიმოვლას და ატარებენ ცეკას ყველა დავალებებს. საანგარიშო პერიოდში ცეკას ინსტრუქტორების მიერ მთელი ხაზის ორი მიმოვლა. მათ მიერვე გატარებულია მთელი რიგი კამპანიები საუბნო პროფ.-საბჭოების და რკინისგზელთა ყრილობისათვის დელეგატების არჩევნები ჩატარდა ფრიად წარმატებით: არჩეულნი აღმოჩნდნენ თითქმის მარტო კომუნისტები. კომიაჩეიკებს ტრანსპორტზე აქვთ საკმაო ავტორიტეტი და გავლენა ადმინისტრატიულ ორგანოებზე. ყველა საუბნო პროფსაბჭოებში და ადგილ კომებში არის კომფრაქციები, რომელთა საშუალებით კომიაჩეიკები ავრცელებენ თავის გავლენას ტრანსპორტის მუშაკთა პროფესიონალურ ცხოვრებაზე.

მუშების განწყობილება ჯანსაღია, ისინი კეთილგანწყობილად უყურებენ საბჭოთა ხელისუფლების მუშაობას. სურსათი მუშებს ეძლევად დამაკმაყოფილებლად და ჯამაგირსაც ღებულობენ ისინი თავის დროზე. შენიშნული იყო ბოროტმოქმედებანი, როგორც უბილეთო მგზავრების გადაყვანა, ტვირთის გატარება ნორმის ზევით, მაგრამ ამ ბოროტებასთან კომიაჩეიკებს ტეხნიკურად და უშუალოდ არ შეუძლიათ ებრძოლონ, თუმცა იღებენ ზომებს სათანადო ორგანოების საშუალებით. ცეკას სამდივნო იღებს ზომებს მუშაობის ასამაღლებლად ტრანსპორტზე და სატრანსპორტო ქვეგანყოფილების გასაძლიერებლად პასუხისმგებელი მუშაკებით.

(შემდეგი იქნება)

ეკონომიური ცხოვრება

მდგომარეობა ბირჟაზე

ბაქოს ბირჟა

ბაქო., 28 სექტემბერი. ბაქოს ბირჟის ოფიციალური ბიულეტენი.

	26 სექტ.	27 სექტ.
დოლარი	9,600,000	10,000,000
გირ. სტერლ.	46,000,000	48,000,000
ფრანკი ფრ.	640,000	750,000
ლირა იტ.	325,000	400,000
ლირა თათ. ქაღ.	7,400,000	7,600,000
მარკა გერ.	14,000	14,000
რუსეთის 1922 წლ.		
შემც. 100 ათ.	90	90
„ „ მეტი	90	90
„ ვალდ. 10 მილ.	—	80
ქართული	3,500	3,950
ოქ. 10 მან.	47,700,000	48,800,000
ლირა ოქრ.		
თათ.	38,000,000	39.000,000
ნატ. 56 სინჯ.	8,500,000	8,900,000
თუმანი	6,800,000	6,800,000
1 მან. ვერც.	2,250,000	2,300,000
„ დახურდ.	1,000,000	1,100,000

განწყობილება მტკიცეა.

მოსკოვის ბირჟა

მოსკოვი. 3 ოქტ. (დეპეშით) ოფიციალური კურსი: გირ. სტერ. 3,425, ამერიკული დოლარი—776, ფრანკი ფრ.—59, შვეიცარიული—160, შვეციური კრონა—206., მარკა გერმანული 0,47. მანეთი ოქროს—300.

ბათუმის ბირჟა

ბათუმი. 3 ოქტ. უცხოეთის ვალიუტის საბაზრო კურსი:

	29 სექტ.	2 ოქტ.
გირ. სტ.	1,140,000	1,060,000
ფრანკი	16,000	16,000
ლირა იტ.	11,000	10,000
ლირა თათრ. ქაღ.	166,000	155,000
დოლარი	250,000	238,000
ოქრ. 10 მან.	1,080,000	1,010,000
ლირა თათრ. ოქ.	875,000	810,000

ბერლინის ბირჟა.

ბერლინი. 3 ოქტ. გირ. სტერ.—8269,65 დოლარი—1885,14. ჰოლანდიის გულდ.—79758,19.

რომის ბირჟა.

რომი. 2 ოქტ. პარიზი—177,75, ლონდონი—102,70, შვეიცარია—439,00. ნიუიორკი—23,45, ბერლინი—1,42, რენტა 72,70. კონსოლ.—81,75.

პარიზის ბირჟა

პარიზი 3 ოქტ. ლონდონი—58,031. ნიუ იორკი—13,21. ბერლინი—0,70. ბელგია—94,90. ისპანია—1821,945. ჰოლანდია—511,25. იტალია—56,20. შვეიცარია—246,50. ოტომანის ბანკი,—710,00 ოტომანიის თამბაქო—325,25.

ლონდონის ბირჟა

ლონდონი 3 ოქტომბ. პარიზი—57,97. ნიუიორკი—4,3918. მილანი—102,3/4. ბერლინი—7800,00. სტოკჰოლმი—16,6. ვენა — 320000,000. პრაგა — 141,00. ჰელსინგფორსი—200,00.

პროვინციაში

ზუგდიდ-სამურზაყანოს კოოპერატივთა კავშირში

ა. წ. 23 სექტემბერს ქ. ზუგდიდში შესდგა ზუგდიდ-სამურზაყანოს მაზრების კოოპერატივთა წარმომადგენლების ყრილობა.

დღიურ წესრიგში იდგა შემდეგი ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები:

1. გამგეობის მოხსენება,
1. სარევიზიო საბჭოს მოხსენება 1921 წ. მუშაობის შესახებ,
3. კოოპერაციის ახალი მშენებლობა,
4. მომავალი გეგმა და სხვა.

დღიურ წესრიგის საკითხების განხილვაში ყრილობის მუშაობას ჰქონდა საქმიანი ხასიათი.

საერთოდ, ზუგდიდ-სამურზაყანოს მაზრების კოოპერატივების წარმომადგენლების ყრილობა არა ერთხელ მომხდარა ქ. ზუგდიდში, მაგრამ ყველა წარსულ ყრილობების მუშაობაში წითელ ზოლივით გატარებულია საყვედური გამგეობისადმი უმოქმედობისათვის. წრევანდელმა ყრილობამ კი მოგვცა სხვა სურათი, ვინაიდან მოისმინა რა მოხსენება გამგეობის, შეფასება სარევიზიო საბჭოსი და გაითვალისწინა რა ის პირობები, რომლებშიდაც უხდებოდა მუშაობა გამგეობას—ყრილობა ამ მუშაობას სცნობს დამაკმაყოფილებლად და გამგეობას უცხადებს მადლობას.

არ შეიძლება გვერდი აუხვიოთ იმ გარემოებას, რომ ყრილობას დაესწრენ წინასწარ გამზადებულნი საკვენად პოლიტიკური მოწინააღმდეგენი კოოპერატორთა ნიღაბით, მაგრამ დაინახეს რა გამგეობის ენერგიული მუშაობა—ხელიდან გაუვარდათ ყოველივე საპროვოკაციო მასალა.

ჩვენ ვიცით, რომ კოოპერატიულ მოძრაობის ზემო აღნიშნულ ორ მაზრაში აქვს რამოდენიმე წლების ისტორია. ჩვენ ვიცით აგრეთვე, ამ წლების განმავლობაში მან განიცადა ბევრი კრიზისი. ამ კრიზისებს, რასაკვირველია, ქონდა ერთის მხრივ უარყოფითი გავლენა კოოპერატივების მუშაობაზე, მაგრამ ამავე დროს კრიზისებს ჰქონდა თავისი დადებითი მხარეებიც: რომ ამ კრიზისებში ის იწვრთნებოდა, ირკვეოდა, იძენდა ყოველ დღიურ გამოცდილებას და ამით იშორებდა კოოპერაციის დამასუსტებელ მიზეზებს. მიუხედავად იმისა, რომ იმპერიალისტურ და შემდეგ სამოქალაქო ომმა ძირ-ბუდიანად შეარყია ორივე მაზრის კოოპერატივების მატერიალური და ფინანსიური მდგომარეობა, დღეს ისინი არამც თუ გაქრენ—პირიქით დანარჩენი კუთხეებიც იფინება კოოპერატივების ქსელით. ეს თავდებია იმისა, რომ კოოპერაციის იდეას ღრმად აქვს ფესვები გამდგარი ორივე მაზრის გლეხობაში და რომ ეს ასე არის, ამტკიცებს აგრეთვე ყრილობის მიერ ნატურით პაების გადიდების პროექტის დამტკიცებაც (ამით კოოპერატივის თვითეულმა წევრმა უნდა გადაიხადოს ორ-ორი ფუთი სიმინდი, რომლიდან სრულიად საკმაო საბრუნებელი თანხა მოემატება როგორც კოოპერატივებს, ისე მათ კავშირს.)

ყრილობამ სავსებით მოიწონა კოოპერაციის ახალი მშენებლობა და მოითხოვა მისი ახლო მომავალში ცხოვრებაში გატარება. ეს სრულებით გასაკვირი არ არის, რადგანაც თვით სინამდვილე ამას მოითხოვს, და ყველაზე უფრო პირველი უჯრედები გრძნობენ კონსტრუქციის შეცვლის საჭიროებას, აქედან აშკარაა, რომ ამავე ყრილობაზე არჩეული ახალ გამგეობაზე დაკისრებული მოვალეობა მეტად მძიმე საპასუხისმგებლოა როგორც სავაჭრო საქმეების წარმოების აგრეთვე პარალელურად ორ მაზრაში კოოპერაციის ახალი მშენებლობის ჩატარების საქმეში.

ასეთ დიდ მოვალეობის ასრულებას სჭირია ცენტრის გამოცდილი კოოპერატორ ამხანაგების დახმარება, ამიტომ მიმართვა კავშირის ახლად არჩეულ გამგეობის მხრივ, კოოპერაციის უტყუარ მეგობრების ამხ. ამხ. ერქომაიშვილის, ტოროშელიძის, და ცეკავშირისადმი სრულიად მისაღებია. გამგეობა სთხოვს მათ გაუწიონ მას დახმარება, რაც უნდა გამოიხატოს: ფართლეულობის და სხვა და სხვა საქონლის სარეალიზაციოდ დათმობაში. თავის მხრივ გამგეობა იძლევა პირობას, რომ სარეალიზაციოდ გაცემულ საქონელს, იქნება ეს თხილზე, სიმინდზე, ფულზე და სხვა რამეზე, თავის დროზე ყოველივე მიზეზების გარეშე შეასრულებს და მათთვის სასურველად, დროულად აანაზღაურებს.

ის მოითხოვს ცენტრის ეკონომიურ დაწესებულებებიდან, გაუწიონ სათანადო ანგარიში—არა მარტო როგორც კოოპერაციის იდეის მატარებელს, არამედ კიდევ მეტი, როგორც ორი მაზრის მძლავრი ეკონომიურ დაწესებულების მესვეურს.

ზემო ნათქვამი ნათლად წარმოგვიდგენს, თუ გადავხედავთ კავშირის ქონებრივ მდგომარეობას და იმ გავლენას, რომელიც მოპოვებული აქვს მას ორივე მაზრის მშრომელ მასის თვალში.

1. კოოპერატივთა კავშირს აქვს კანტორის და საწყობების შენობები ღირსეული რამოდენიმე მილიარდ მან. დღევანდელ ფულის კურსით.

2. სოფელ შამგონაში საკუთარი უზარმაზარი მექანიკური ქარხანა, რომლის ბადალი მთელ რესპუბლიკაში იშვიათად თუ მოიპოება. იმით შეიძლება გაკეთდეს სასოფლო მეურნეობის ყოველნაირი იარაღი. მისი ღირებულება დაახლოვებით რამოდენიმე ათეულ მილიარდს უდრის.

3. ს. ჭითა წყალში კავშირს აქვს კრამიტ-აგურის ქარხანა, იქვე სამი შენობა მუშებისათვის და სხვა მოწყობილობა. იქაური კრამიტი, თავის ხარისხით, მოწონებულია როგორც უკეთესი მარსელის კრამიტზე, ამავე სოფელში არის ხის სახერხი მანქანა რომლის შემოსავალი თვეში უდრის დაახლოვებით ას მილიონს.

4. კავშირს აქვს წიგნის მაღაზია დიდძალი წიგნებით.

5. ქონდა მშვენივრად მოწყობილი ავტო-გარაჟი, რომელიც ჯერ-ჯერობით ჩამორთმეულია ავტომობილთურთ და იმყოფება სახ. მეურ. უმაღლეს საბჭოს განკარგულებაში.

გამგეობა სრულიად დარწმუნებულია, რომ ზემოხსენებული გარაჟი დაუბრუნდება კავშირს.

კავშირი აწარმოებს მსხვილი ოპერაციებს, ამა წლის შვიდი თვის ტრიალი უდრის ხუთ—ექვს მილიარდს. ოპერაცია ეხება სოფლის მეურნეობის ყოველივე საგანს: თხილს, დაფნას, სიმინდს და სხვ. შარშან ოქტომბერ, ნოემბერ და დეკემბრის თვეების განმავლობაში მას მოუგროვებია 16,000 ფ. სიმინდი, დანარჩენი თვეებზე ლაპარაკი ზედმეტია. ასეთი ოპერაციები წარმოება კავშირისათვის გასაკვირი არ არის, რადგანაც იგი არის მასსიური ორგანიზაცია. მას ზურგს უმაგრებს ორივე მაზრის მთელი მშრომელი გლეხობა. მას ყოველ სოფლის კუნჭულში აქვს თავის უჯრედი.

ჩვენ ვიცით, რომ ზუგდიდის აღმასკომმა დაადგინა აილოს ნავთის მონოპოლია თავის ხელში და თავისივე დადგენილებაში ის აღნიშნავს, რომ მცხოვრებლებისათვის ნავთის მიწოდება უნდა მოხდეს კოოპერატივთა კავშირის საშუალებით. ცხადია, განა შეუძლია ვინმეს, იქნება ეს მთავრობის ეკონომიური ორგანო, თუ გინდ სვხალი ფირმა, რომლებიც მოიწადინებენ ამ მაზრებში ოპერაციის წარმოებას, გვერდი აუხვიონ კოოპერატივთა კავშირს? აი რატომ მოითხოვს კოოპერატივთა კავშირი ცენტრის ეკონომიურ დაწესებულებებიდან გაუწიონ მას სათანადო ანგარიში. კიდევ მეტი: მთელი ხალხი, მთელი მასსა ერთხმად მოითხოვს ოპერაციის წარმოებაში ცენტრალურ ეკონომიურ დაწესებულებები მოელაპარაკონ მათ თავის კოოპერატივთა კავშირის საშუალებით. დღეს სხვა და სხვა პირები მაზრაში ჩიმოლობენ შუამავლად გახთიმას კოოპერატივთა კავშირის და ცენტრალურ ეკონომიურ დაწესებულებებ შორის, რაც არანორმალური მოვლენაა.

ცენტრალურ ეკონომიურ დაწესებულებების დანიშნულებაა ფართე მასსას დაეხმარონ სხვა და სხვა საჭირო საგნების მიწოდებით. ამ შემთხვევაში მათ საქმე უნდა დაიკავონ ისეთ აპარატთან, ისეთ ორგანიზაციასთან, რომლის გარშემო იყრის თავს, ხალხი, მასსა. ასეთი ორგანო ზუგდიდ-სამურზაყანოს მაზრებში არის მარტოდ-მარტო კოოპერატივთა კავშირი, მისი წითელი გამგეობით. გამგეობა სრულიად დარწმუნებულია, რომ მისი მიმართვა ცენტრის ამხანაგებისადმი არ დარჩება უყურადღებოდ, აძრულ საკითხს შეხვდებიან თანაგრძნობით და გაუწოდებენ თავიანთ ძმურ ხელს, ორივე მაზრის, მშრომელ გლეხობას, შეკავშირებულს თავის კოოპერატივებში.

კავშირის გამგეობის წევრი
გრიშა შელია.

წერილები რედაქციის მიმართ

ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი, საყოველთაოდ ვაცხადებთ, რომ არსებულ მუშათა და გლეხთა საბჭოების მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლები და მის აღმშენებლობით მუშაობაში ხელის შემშლელი, ყოველივე მოქმედებები შეცდომათ მიგვაჩნია, თვითონ ჩვენ შეძლების დაგვარათ ყოველივე მხრით ხელს შეუწყობთ საბჭოთა მთავრობას აღმშენებლობის და სახელმწიფოს აღორძინების საქმეში, როგორც მუშათა და გლეხთა ინტერესების დამცველს.

ისიდორე ქევანაშვილი, დიმიტრი მგალობლიშვილი, დიმიტრი ახვლედიანი, გიორგი ლუკას ძე ცენტერაძე.

—

1919 და 1920 წ. მე ვირიცხებოდი მენშევიკურ პარტიაში, რომლიდანაც საქართველოს გასაბჭოებამდე გამოვედი და მას შემდეგ ვარ უპარტიოთ.

იპოლიტე ბოჭორიშვილი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

ს. ს. ს. რ. სასკოლო ასაკამდე განათლების მუშაკთა შესახებ.

აღრიცხვის და განაწილების მიზნით ცხადდება სასკოლო ასაკამდე მუშაკთა რეგისტრაცია.

§ 1. ს. ს. ს. რ. ტერიტორიაზე მყოფი სასკოლო ასაკამდე აღზრდის და განათლების თანამშრომელნი, როგორც უმუშევარი, ისე მომუშავე ვალდებულნი არიან აღრიცხონ ქალ. ტფილისში სახალხო განათლების კომისარიატის სასკოლო ასაკამდე განათლების განყოფილებაში და პროვინციებში კი სათანადო განათლების განყოფილებებში.

§ 2. აღრიცხვის პირველ დღე ტფილისში ცხადდება 10 ოქტომბერი პროვინციაში 1 ლ ნოემბერი. აღრიცხვა უნდა დასრულდეს 10 დღის განმავლობაში.

§ 3. პირნი, რომელნიც აღრიცხვას არ მოჰყვებიან ადგილს ვერ დაიჭერენ და სამსახურში მყოფნი კი მოხსნილნი იქნებიან ადგილიდან.

სახალ. გან. კომისრის მოადგილე:
მ. ორახელაშვილისა.
სასკ. ასაკ. აღზრ. განყ. გამგე:
მ. წულუკიძე.

უწყებები

თანახმად პარტსტაჟის გამომრკვევ კომისიის დადგენილებისა,

წინადადება ეძლევა ყველა პარტამხანაგებს, რომელნიც შესული არიან რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში „ბოლშევიკ". 1917 წ. (ე. ი. თებერვლის გადატრიალებამდე"), გამოცხადდნენ დღის რიცხვიდან საქართველოს კომპარტიის ცეკას აღმრიცხვ-სტატისტიური განყოფ. დღის 9-დან 3 საათამდი და საღამოს 6—8 ს. სარეგისტრაციოთ და ავტობიოგრაფიების შესავსებ სახელმძღვანელო შეკითხვების („ვოპროსნიკი") მისაღებათ. იმ ამხანაგებს, რომელნიც ავტობიოგრაფიას არ წარმოადგენენ ამა წლის 15 ოქტომბრამდე, არ ჩაეთვლებათ არალეგალური სტაჟი.

მაზრებში და საოლქო კომიტეტებში მყოფი პარტამხანაგები რეგისტრაციას გადიან ადგილობრივ სამაზრო და საოლქო კომიტეტებში.

ც. კ. აღმრიცხვსტატი განყ. გამგე **ლიცინოვი.**

—

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა პარასკევს, 6 ოქტომბერს

ერთიან პარტიულ დღეს

დასვან დღის წესრიგში „კომუნალური მეურნეობა ქ. ტფილისში". თეზისები დაბეჭდილი იქნება გაზეთებში და დაეგზავნება ყველა რაიონებს.

ტფილისის კომიტეტის მდივანი: **კახიანი.** (3—2)

—

მიმდინარე წლის თორმეტ ოქტომბრისათვის დანიშნულია

საქართველოს კომუნისტურ პარტიის

საოლქო, სამაზრო და საქალაქო კომიტეტების საიგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებათა გამგეობის თათბირი ცენტრალურ კომიტეტის ქალთა განყოფილების პროფკავშირთა საბჭოს, რკინის გზელთა პროფკავშირთა.

2) მოხსენებები ადგილებიდან.

3) ც. კ. საიგ. საპროპ. განყოფილების მოხსენება თავისი მოქმედების შესახებ.

4) პოლიტ. განათლების მთავარი მართველობის მოხსენება თავისი მოქმედების შესახებ.

5) მეთოდები, ფორმები და ძირითადი ამოცანები საიგიტ. საპროპაგანდო მუშაობისა.

6) პოლიტიკურ განათლების მუშაობის მეთოდები, ფორმები და მორიგი ამოცანები.

7) ახალგ. კომუნ. კავშირში საიგიტაციო საპროპაგანდო მუშაობა.

8) საორგანიზაციო საკითხები.

დელეგატები უნდა ჩამოვიდნენ თავის დროზე ც. კ. საიგ.-საპრ. განყოფ.

ც. კ. საიგიტაციო საპროპაგანდო განყოფილება. (5—4)

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის საიგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება

აცხადებს ამხანაგების საყურადღებოთ, რომ მუშათა ფაკულტეტის რუსულ განყოფილებაზე მიღება გაგრძელებულია და ამხანაგები, ვისაც სურთ შესვლა, უნდა შეიარონ საქ. კომ. პარტიის ტფ. კომიტ. საიგიტ.-საპროპ. განყოფილებაში 5 ოქტომბრამდე ანკეტის შესავსებლად.

ტფილისის კომიტეტის საიგიტ. საპროპ. განყ. გამგე **მ. ეხხენი.**

(3—3)

—

ხუთშაბათს, 5 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ბინაზე გაიმართება

თბილისის კომიტეტის პლენუმის სხდომა.

დღის წესრიგი:

1. თბილისის კომიტეტის ბიუროს მოხსენება.
2. ამხ. ყურულაშვილის მოხსენება სრულიად რუსეთი პროფკავშირთა მე 5 ყრილობის შესახებ.
3. კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის ცეკას მოხსენება.
4. მიმდინარე საქმეები.

სხდომაზე მოწვეულნი არიან ყველა კავშირთა კომფრაქციების მდივნები, რაიონის ორგანიზატორები და პასუხისმგებელი ამხანაგები. თბილისის კომიტეტის წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

თბილისის კომიტეტის მდივანი
2—2 **კახიანი.**

საქართველოს კომ[illegible] სას კომიტეტთან [illegible] ისტორიის ბიურო [illegible] მუშაობის ორგანიზაცია[illegible]

ისტორიის შესასწავლ[illegible]

ბიურო სთხოვს პარტიის [illegible] ძველ წევრებს მიიღონ [illegible] ნაწილეობა ამის მუშაობაში, [illegible] მის განკარგულებაში მყოფი [illegible] მოგონებანი, მემუარები, [illegible] ბის და სხ. სახით.

ბიურო ფიქრობს გამოსცეს [illegible] რიგი პირველ კრებულები [illegible] მელიც შედგება ქ. ტფილისის [illegible] ნისტური ორგანიზაციების [illegible] სხვა და სხვა მასალებისაგან.

პარტიის ისტორიის ბ[illegible]

—

საქართველოს კომპარტიის [illegible] ლისის კომიტეტის საგიტაციო [illegible] პროპაგანდო განყოფილება [illegible] ამხანაგებს, [illegible] სახელმწიფო პოლიტიკურ[illegible] ბულ მუშათა ფ[illegible] სულ განყოფილებაში) [illegible] დამატებით გამოცდები [illegible] თვის, რომელიც არ [illegible] პირველ გამოცდაზე, [illegible] ხუთშაბათს, 5 ოქტომბერს, 4 ნახ. საათზე [illegible] ბინაზე (20 [illegible] ქ., № 26, ქალთა [illegible] ზია), მეცადინეობა დაიწ[illegible] ბათს 9 ოქტომბერს.

ის ამხანაგები, რომელ[illegible] ბარებს გამოცდებს, [illegible] ნებიან მოსამზადებელ [illegible] თბილისის კომიტ. საგიტ[illegible] განყ. გამგე **ეხხენი.**

[illegible]

გაზეთის ტრესტის პროვინციალურ კონტრ-აგენტების

საყურადღებოთ

გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორამ გაიგო, რომ ზოგიერთი კონტრ-აგენტები აჩერებენ 2—3 დღის გაზეთებს, რომლის საშუალებით ეგზავნებათ პარტიულ კომიტეტებს, აღმასკომებს და სხვ. გაცნობებთ, რომ გაზეთების შეჩერებისათვის ყოველი აგენტი, რომელიც შემჩნეულ იქნება გაზ. დაგვიანებაში, დაუყოვნებლივ დაჰკარგავს წარმომადგენლობის უფლებას და მიეცემა [illegible]გებაში.

(0—30)

თბილისში ტვირთზიდვის გადასახადის გამტარებელი

კომისია

წინანდელ დადგენილებათა შესაცვლელად თბილისის ქალაქის აღმასკომის სავალდებულო დადგენილების № 6, § 1 თანახმად ამით აცხადებს რომ ამა წლის 4 ოქტომბრიდან მოქალაქენი, რომ[illegible]დება ტვირთზიდვის გადასახადი 550.000 მან. მაგიერ უნდა გადიხადონ 575.000 მან. 1.100.000 მანეთის მაგივრად 1.150.000 მან. 12 მანეთის ოქროს მაგ. 1.380.000 მან. და ჯარიმა 300.000 მან.

(ეს დადგენილება ძალაშია განსაკუთრებულ დადგენილებამდე)

შრომის და ტვირთზიდვის ხარკის გამტარებელი კომისიის თავმჯდომარე დ. თაქაიშვილი.

(375—1—1)

ამიერ-კავკასიის სარკინიგზო სოციალური დამზღვევი კასა

დორსტრახკასა

ამით აცხადებს, რომ იმ ყოფილ რკინის გზელთაგან, რომელნიც სამსახურიდან დათხოვნილ იქნენ ამიერ-კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე,—აგრეთვე გარდაცვალებულ ახეთ რკინის გზელთა ოჯახებთაგან პენსიის დანიშვნის შესახებ თხოვნების შემოტანის ვადა გადადებულია 1923 წლის პირველ იანვრამდე.

ამ ვადის გასვლის შემდეგ არავითარი [illegible] იქნება მიღებული თხოვნები ნახსენები კატეგორიის პირთაგან და ასეთებს ამიერ-კავკასიის დამზღვევი კასა არ განიხილავს.

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა დამზღვევი კასის [illegible]
მა[illegible]
(კრ. 377—1—1) საქმეთა მ[illegible]

დაკარგე „გემო-კვების" პროფ[illegible] ზიდვისაგან განთავის[illegible] შემოწმებული იყო მანდატზე კოოპერატ. საზ. [illegible] ხებ ნოდარ ამაშუყელის სახელობაზე. ჩა[illegible]
(385—1—1)

საქართველოს სახალხო საბჭოს ჯამაგირის მეურნეობის პოლიგრაფიული განყოფილების მე-3 სტამბა, კრუზენშტერნის ქ. № 6.